№ 98

1877—1905

№ 98

კვირა, 12 ივნისი

კვირა, 12 ივნისი

გაზეთის ფასი დამატებით: წლიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

ტელეფონი № 922.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“.

1905 წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: „ივერიის ბიბლიოთეკა“, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული სურათები და ილლუსტრაციები.

გაზეთის ფასი: 1 ივნისიდან წლის დამლევამდის 5 მ. 50 კ., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ვინც პრემიის უკვე დარიგებულ პირველ წიგნს მოისურვებს, 50 კაპ. უნდა გამოგზავნოს მის ფასად.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ Редакція газ. „Иверія“.

8 ივნისს ქ. ქუთაისში გარდაიცვალა

ალექსანდრე გიორგის ძე წულუკიძე,

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე განსვენებულისა ელენე, დედ-მამა თავადი გრიგოლ სიმონის ძე და მარიამ ერმილეს ასული წულუკიძენი და მამიდები კნეინები ნინო ჩიქოვანისა და მარიამ დადიანისა. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე.

დაკრძალვა დანიშნულია კვირას, 12 საათზე, დ. ხონში. სადაც გაასვენებენ ქუთაისიდან იმავე დღეს, დილის 9 საათზე. (3—3)

8 ივნისს ქ. ქუთაისში გარდაიცვალა

ალექსანდრე წულუკიძე,

რასაც განსვენებულის ამხანაგები აუწყებენ მეგობართა და ნაცნობთ.

დაკრძალვა დანიშნულია კვირას, 12 ივნისს, დ. ხონში, სადაც გაასვენებენ ქუთაისიდან იმავე დღეს, დილის 9 საათზე. (3—3)

ივნისის 19-ს „ბელ-ვიუს“ ბაღში გაიმართება

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ

სეირნობა და ბაზარი

მიიღება შემოწირულება [illegible] „[illegible]“ კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის ქარვასლა).

თვალის ავადმყოფობანი

ხარკოვის უნივერსიტეტის ორდინატორი, თვალის ავადმყოფობათა ექიმი

ე. ვ. გორგოვსკი-ზარანეკი

ავადმყოფებს მიიღებს ყოველ-დღე, დილით 10—12 საათამდე, საღამოთი 5—7 საათამდე.

გოლოვინის პროსპექტი, სახლი დობრჟანსკისა, სახაზინო თეატრის პირდაპირ. (3—1)

ახალი წიგნი

გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში, აგრეთვე „ივერიის“ რედაქციაშიაც

ნაწერები

პეტრე უმიკაშვილისა

გამოცემა „ცისკარი“-ს ამხანაგობისა.

წიგნში ჩართულია ავტორის სურათი და რამდენიმე ილუსტრაცია.

ფასი 30 კაპ. (30—11)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

მ. უ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

გ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაზანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

გ. ა. თარხანოვი—1—$1\frac{1}{2}$ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. ჰ. კარაპეტიანცი. 1—$1\frac{1}{2}$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ექიმი ქალი ა. ი. შჩერბინინა—$1\frac{1}{2}$—2 საათ.—ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

საღამოობით:

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულ გამოკვლევას, 5—7 საათ.

ხ. ტ. არჯანიბაკი. 11—1 [illegible] ებს მასსაჟს (მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი ქ. გძელიშვილი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. ...ифлисъ, противъ памятн. Воронцову.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე ა. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეზე, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლღას ქუჩა, № 15.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

ვაწაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

გაბაშვილი გრიგოლ—კირპიჩის ქუჩა, № 91.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 სათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

იერიში

უეჭველია, მკითხველი წაიკითხავდა თავად-აზნაურთა კრების ანგარიშს, რომელიც გუშინ ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა. რაც ახლა თავად-აზნაურთა კრებებზე ხდება, ბევრის მხრით არის საინტერესო და საგულისხმიერო, მაგრამ ჩვენ გვინდა მხოლოდ ერთს ამბავს მივაქციოთ მკითხველის ყურადღება, ვინაიდან იგი ამბავი იმ წრიდან გამომდინარეობს, რომელზედაც ჩვენს საზოგადოებასა და პრესაში ბევრი რამ ითქვა და დაიწერა...

როგორც იცით, ქართლის თავად აზნაურთა ერთმა ნაწილმა, რომელსაც ახლო დამოკიდებულება აქვს «ბრწყინვალე მილიციასთან», თხოვნა წარადგინა კრების წინაშე და ითხოვა 20 ათასი მან. „გლეხთა მოძრაობისაგან დაზარალებულ თავად-აზნაურთა“ დასახმარებლად. პირველად, როცა ჩვენ ეს ქაღალდი წავიკითხეთ, გვეგონა, თხოვნაზე ხელის მომწერნი ფულს თხოულობდნენ „დაზარალებულთათვის“ დასარიგებლად და ამგვარად, სუბსიდიის სახით, ზარალის ასანაზღაურებლად.

გვეგონა ასე იმიტომ, რომ არ გვახსოვდა ერთი გარემოება. სახელდობრ, დაგვავიწყდა, რომ მილიციონერთა მთავარ გამგეობაში წევრებად ითვლებიან ისეთი თეორეტიკოსები, რომელნიც დახელოვნებულნი არიან სოციალ-ეკონომიურ საკითხებში და ამიტომ მათ, რასაკვირველია, დახმარება მაშინ მიაჩნიათ საფუძვლიანად და ნაყოფის მომცემად, როცა იგი ეკონომიურ ნიადაგზე არის დაფუძნებული, წარმოებაზეა მოხმარებული

გუშინწინ მილიციონერთა ერთმა იდეოლოგმა გამოაცხადა: ის ოცი ათასი მანათი იმიტომ უნდა ჩემს ჯგუფს, რომ ართელის შედგენას აპირობს და, რახან გლეხები ბოიკოტს უცხადებენ, მიწის შემუშავებას თვითონ უნდა შეუდგესო. წარმოებისთვის კი საჭიროა თანხა და, აი, ჩვენც სწორედ ამ მიზნისთვის გთხოვთ დახმარებასო.

ეს განცხადება მოულოდნელი იყო, მაგრამ დღეს აღარაფერი არაა გასაკვირი და ყველაფერს უნდა მოელოდეს ადამიანი. ჩვენ სიამოვნებით აღვნიშნავთ ამ ფაქტს, თუ იგი მართალია, თუ მილიციონერები და მათი ავან-ჩავანნი ქართლის სოფლებში სამხედრო მოქმედებას მშვიდს სამეურნეო საქმიანობაზე სცვლიან... ეს ისეთი ცვლილება იქნება, რომ მისთვის 20 ათასი მანათის დახარჯვაც დასანანი არაა,—სასარგებლო საქმისთვის გაწეული ხარჯი დაკარგულად არ ჩაითვლება..

მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ საფუძველი გვაქვს დიდის ეჭვით შევხედოთ ასეთ განცხადებას და მილიციონერთა ბანაკის ვითომ მშვიდ და კულტურულ მუშაობას. ამგვარ საქმიანობისადმი მისწრაფება და სიყვარული მხოლოდ ხანგრძლივის შრომითა და მეცადინეობით შეიძინება, რასაც სწორედ ის ნაწილი თავად-აზნაურობისა, რომელიც ჩვენს „კეთილის მყოფელთ“ მხედველობაში ჰყავთ, შეჩვეული არაა.

სუბსიდიების თხოვნას ნამდვილად სულ სხვა საფუძველი და საბაბი აქვს. მოგეხსენებათ, ფულის გამო ყოველთვის იცოდა ჩვენმა მოწინავე წოდებამ: იგი მაშინაც კრებდა სესხსა და სუბსიდიას, როცა ხალხი მშვიდად იყო და არავის არაფერს ზარალს არ აყენებდა. მით უფრო მეტი საფუძველი ეძლევათ სუბსიდიების სათხოვნელად შეიარაღებულ აზნაურებს,—დღეს, როცა ხალხის მოძრაობამ ყველას ყურები აცქვეტია და—ზოგი კარგად და ზოგიც ავად—დააფიქრა. ამ საყოველთაო კრიზისის დროს, აბა, როგორ შეიძლებოდა იმ ფულის თავისუფლად დატოვება, რომელიც თავად-აზნაურობას განსაკუთრებულ თანხად ჰქონდა გადადებული...

და მიიტანეს კიდეც იერიში... ოღონდ [illegible] თხოვნისა, რამდენიც გნებავთ, მიირთვითო, დაიძახეს ქართლის მხედრიის წარმომადგენლებმა. შეიქნა საბუთების ჩამოთვლა და, სხვათა შორის, მიწად მომქმედი ართელიც კი გამოცხვა...

სამწუხაროდ, კრება, როგორც მოსალოდნელი იყო, ვერ წინააღუდგა ამ იერიშს, მასაც მადა გაეხსნა და სამეურნეო თანხაზე თვითონაც იერიშით წავიდა... გადასწყვიტეს ამ თანხის „დარიგება“ და გააქრეს იმ დანიშნულების შესრულება, რომელიც ამ თანხის დაწესებას ედვა საფუძვლად.

გაივლის, მკითხველო, ცოტა ხანი და—„სამეურნეო თანხა“ ყინულივით გადნება და მის გამო დაწერილი პროექტები დეპუტატთა საკრებულოს არქივს გადაეცემა, ვითარცა მასალა მერმისში ჩვენი—ქართული—საქმიანობის გამოსარკვევად და „მამების“ საზოგადოებრივ გამჭრიახობის მოსაგონებლად...

მინისტრების პასუხისმგებლობა უფლებრივ სახელმწიფოში

უფლებრივ სახელმწიფოს დამახასიათებელი ნიშანია ხალხის მონაწილეობა ქვეყნის გამგებლობაში: აქ არსებობს ხალხის წარმომადგენლობა ანუ პარლამენტი.

ასეთ უფლებრივ სახელმწიფოში საზოგადოდ აღმასრულებელი და კანონმდებლობითი ორგანოები განაწილებულია სხვადასხვა პირების ხელში. კონსტიტუციონურ მონარქიაში აღმასრულებელი ძალა ეკუთვნის მეფეს და რესპუბლიკაში—დროებით ამორჩეულ პირს—პრეზიდენტს. პარლამენტის ხელშია მთელი კანონმდებლობა, კანონი პარლამენტის გარეშე არ გამოიცემა.

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. მარტო კანონის გამოცემა არ კმარა,—საჭიროა, კანონის შესრულება, სისრულეში მოყვანა უზრუნველ ყოფილ იყვეს. აი, ეს საქმე აღმასრულებელ ორგანოსა, ანუ ძალის ხელშია და ამიტომ შესაძლებელია თავისუფლება საფრთხეში ჩავარდეს: შეიძლება, აღმასრულებელმა ძალამ კანონს გვერდი აუხვიოს და დაარღვიოს. გარდა ამისა თავის მოქმედებაში მას შეუძლიან ისეთი ზომები მიიღოს, რომელნიც ბოროტ-მოქმედებას წარმოადგენენ. როგორ უნდა იქმნეს უზრუნველყოფილი ამ შემთხვევაში თავისუფლება და როგორ უნდა აიცდინოს თავიდან საზოგადოებამ აღმასრულებელი ძალის ბოროტ-მოქმედება?

თუ კონსტიტუციონურ მონარქიაში მეფე მისცეს პასუხისგებაში, ეს იმის მომასწავებელი იქნება, რომ მეფე ტახტიდან ჩამოაგდეს, ე. ი. რომ რევოლუცია მოახდინეს. არც პრეზიდენტის სამართალში მიცემაა ადვილი საქმე. ეს გზა საძნელოა და იშვიათადაც იხმარება.

ცხოვრებამ გაიკვალა მეორე გზა, რომელიც უფრო ადვილიცაა და უფროც უზრუნველ ჰყოფს მოქალაქობრივ თავისუფლების აღმასრულებელ ძალის ძალმომრეობისაგან. ამ შემთხვევაში მოწინავე ადგილი უჭირავს ინგლისს. ინგლისელებმა გამოაცხადეს: „არ შეიძლება, მეფე ცუდად მოიქცესო“. ამ სიტყვებით იმათ სთქვეს,—მეფე არაა პასუხისმგებელი თავის მოქმედებაშიო. და ვისაც პასუხისმგებლობას ართმევენ, იმას არც მოქმედების უფლება აქვს. მოქმედებს ის, ვინც პასუხს აგებს. ამიტომაც მთელი პასუხისმგებლობა გადავიდა მინისტრებზე. მეფის არც ერთ განკარგულებას ძალა არა აქვს, თუ ეს განკარგულება დაწერილი არაა და ზედ შესაფერი ბეჭედი არ ასვია, ხოლო ეს ბეჭედი ჩაბარებული აქვს მინისტრს, რომელიც ბეჭდის დასმით პასუხისმგებელი ხდება ქვეყნის წინაშე მეფის განკარგულებაში. და ვინც პასუხისმგებელია, ის ვერც დაეთანხმება თავისუფლების ძირითად კანონს ულალატოს. ამის შედეგი ისაა, რომ განკარგულებანი მხოლოდ მეფის სახელით ხდება, ხოლო მათი დამწერნი და პასუხისმგებელნი კი მინისტრები არიან. ინგლისში არა თუ მინისტრებისაგან დამოუკიდებლად განკარგულების გამოცემა არ შეუძლიან მეფეს, არამედ მას იმის უფლებაც კი არა აქვს, რომელსამე უცხო ქვეყნის ელჩს, წარმომადგენელს ეთათბიროს, თუ ამ თათბირის დროს არ არის დამსწრე სათანადო სამინისტროს წარმომადგენელი. ამ გვარივე წესია შემოღებული საფრანგეთშიაც. 1875 წელს გამოცემული ძირითადი კანონი ამბობს: „რესპუბლიკის პრეზიდენტის ყოველი აქტი ხელმოწერილი უნდა იყოს მინისტრისაგანაო“. ამნაირად აღმასრულებელი ძალა მოკლებულია საშუალებას დამოუკიდებლად იმოქმედოს და რაკი მინისტრი პარლამენტის წევრია და მის წინაშე პასუხისმგებელი,—ის ვალდებული ხდება აღმასრულებელ ძალის ყოველ მოქმედებაში პასუხი აგოს.

მინისტრების პასუხისმგებლობა ორნაირია. ერთი—სასამართლოს წინაშე, ანუ სამსჯავრო და მეორე—პარლამენტარული ანუ პოლიტიკური. მინისტრი სასამართლოს წინაშე არის პასუხისმგებელი, თუ რაიმე უკანონობა ჩაიდინა, არა [illegible] დომებისა, ან ისეთ ზომების მიღებისათვის, რომელმაც სახელმწიფოს ვნება მოუტანა.

პირველგვარი პასუხისმგებლობა მინისტრებისა (სასამართლოს წინაშე) მოქალაქეთა თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარეობს. ყოველი მოქალაქე, რა ხარისხის მატარებელიც უნდა იყოს იგი, ჩვეულებრივ კანონს უნდა ემორჩილებოდეს. დაისი ამბობს: «კანონის წინაშე თანასწორობის იდეა ინგლისში უმაღლეს წერტილამდეა განვითარებული. ჩვენში ყოველი მოხელე პირველ მინისტრიდან დაწყებული უბრალო პოლიციელამდე, ან ხარჯის ამკრეფამდე ერთნაირად პასუხის მგებელია, როგორც თითოეული მოქალაქე, იმ უკანონო საქციელისათვის, რომელიც მას ჩაუდენია. სასამართლოს ანგარიშებში მრავლადაა აღნუსხული ისეთი ფაქტები, რომ მოხელეები სამართალში ყოფილან მიცემულნი და ისინი კერძო პირებსავით დასჯილან ისეთ მოქმედებისთვის, რომელიც მათს კანონიერ უფლებას აღემატებოდა, თუმცა ის უკანონო მოქმედება მათ თავის ოფიციალურ მოვალეობის აღსრულების დროს ჰქონდათ ჩადენილი. ახალშენის გუბერნატორი, სტატს-სეკრეტარი, ოფიცერი და ყველა მათი ხელქვეითნი, იმ შემთხვევაშიაც კი, რომ მათ დაამტკიცონ,—უმაღლესი მთავრობის ბრძანებით ვმოქმედებდითო,—ამნაირადვე პასუხის მგებელნი არიან კანონისაგან აკრძალულ ყოველ თავის მოქმედებაში, როგორც თითოეული კერძო პირი, რომელსაც არავითარი ოფიციალური ადგილი და თანამდებობა არა აქვს“.

უფრო ჩვეულებრივი და ხამდვილია ის პასუხისმგებლობა, რომელიც აქვთ მინისტრებს დაკისრული პარლამენტის წინაშე. როგორც ვიცით, სამინისტრო უფლებრივ ქვეყანაში კოლეგიას წარმოადგენს, ესე იგი ის არის შეთანხმებულ პირების კრებული. ამ კრებულში განსაკუთრებული შემთანხმებელი ძალა აქვს უფროსს მინისტრს, რომელსაც ინგლისში ეწოდება პირველი მინისტრი, საფრანგეთში კი—მინისტრთა საბჭოს პრეზიდენტი. ამგვარად, სამინისტრო წარმოადგენს კოლლექტიურ ერთეულს და ამიტომაც საზოგადო კითხვებში მთელი სამინისტროა პასუხისმგებელი. პარლამენტი კრიტიკულად ეხება სამინისტროს წარსულს, თუ განზრახულ მოქმედებას, პარლამენტს უფლება აქვს სამინისტროს შეეკითხოს, ინტერპელიაციით მიმართოს, და თუ პარლამენტი არ დაეთანხმა, სამინისტროსაგან წარმოდგენილ წარსულ მოქმედების განმარტებას ან მომავალ მოქმედების გეგმას და ამნაირად სამინისტროს წინააღმდეგ პარლამენტის უმრავლესობა დარჩა, ერთის სიტყვით, ამ უმრავლესობამ სამინისტროს უნდობლობა გამოაცხადა, მაშინ სამინისტრო ვალდებულია სამსახურს თავი დაანებოს და გადადგეს. პარლამენტისაგან უნდობლობის გამოცხადება, სამინისტროსათვის ბრძანებაა:—სამსახურს თავი დაანებეო. კერძო კითხვებში, რომელიც მხოლოდ ერთის რომელისამე მინისტრის კომპეტენციის ფარგალშია, შეიძლება მარტო ეს მინისტრი დამარცხდეს, როგორც პასუხისმგებელი და იძულებული გახდეს კაბინეტიდან გამოვიდეს.

აქედან ცხადად სჩანს, რომ სამინისტროს არსებობა მაშინაა შესაძლებელი, როცა მის მხარეს პარლამენტის უმრავლესობა არის. ეს გარემოება თავისთავად გვიჩვენებს, თუ რა წესით უნდა შესდგეს კაბინეტი. მინისტრები უნდა იყვნენ იმ პარტიიდან, რომელიც შეადგენს პარლამენტის უმრავლესობას; თუ ორი პალატაა, დეპუტატთა პალატის უმრავლესობას ეძლევა უპირატესობა, რადგან დეპუტატთა პალატას, როგორც ხალხის პირდაპირ არჩეულთაგან შემდგარს ორგანოს, მეტი ძალა და გავლენა აქვს.

აქ უნდა აღვნიშნოთ კიდევ ერთი გარემოება: როცა სამინისტროს წინააღმდეგ პარლამენტის უმრავლესობა გამოსთქვამს თავის აზრს, სამინისტროს შეუძლიან, პრეზიდენტის გინდ მეფის თანხმობით, პარლამენტი დაითხოვოს და ახალი არჩევნები მოახდინოს, რომ ამით დაინახოს, ხალხი ვის ემხრობა,—სამინისტროს, თუ პარლამენტის უმრავლესობას. თუ ახალი პარლამენტიც გაიმეორებს უნდობლობას სამინისტროსადმი, მაშინ ამ უკანასკნელის გადადგომა აუცილებელია.

ამგვარად, როგორც ვთქვით, სამინისტროს პასუხისმგებლობა ერთი ძირითადი პრინციპია წარმომადგენლობითის სისტემისა. ეს ისეთი პრინციპია, ურომლისოდაც სახალხო წარმომადგენლობის ძალის სრული გამომჟღავნება შეუძლებელია. საკონსტიტუციო ქვეყნების ევოლიუცია გვიჩვენებს, რომ ეს პრინციპი აუცილებლივ უნდა ახლდეს წარმომადგენლობას. და თუ ზოგიერთ ქვეყნებში პარლამენტი არსებობს, მაგრამ მასში ის პრინციპი განხორციელებული არაა, ეს უნდა ჩაითვალოს ძირითად ნაკლად, რომელსაც ცხოვრების განვითარება უსათუოდ გაასწორებს შემდეგში. დღეს სამინისტროს პასუხისმგებლობა თითქმის ყველა თავისუფალ ქვეყნებში არის დაწესებული: მაგალითად, ინგლისში, საფრანგეთში, ბელგიაში, ჰოლანდიაში, იტალიაში, [illegible] ცია-ნორვეგიაში და სხვ.

ყველა ზემოდ ნათქვამი შემდეგს დასკვნას გვაძლევს,—რომ აღმასრულებელ და საკანონმდებლო ძალების გაორება თანდათან ისპობა და მთელ სახელმწიფოს გამგებლობის ძაფები პარლამენტის—განსაკუთრებით დეპუტატთა პალატის—ხელში იკრიბება. საგულისხმიეროა ამ მხრივ ე. ბუტმის აზრი ინგლისის შესახებ. „საზოგადოებრივ ევოლიუციის ფრიად საყურადღებო შედეგი ისაა, რომ ქვემო პალატა, რომელიც წინად პირველობდა თავისი ავტორიტეტით, ახლა ცდილობს მარტო თვითონ იყოს სახელმწიფო ძალის უმაღლესი წარმომადგენელი. სხვა ძალები თავს ანებებენ მის წინააღმდეგ მოქმედებას, რადგან გრძნობენ, რომ მათს მხარეს საზოგადოების აზრი აღარ არის. საზოგადოებას ეს ძალები კონსტიტუციის უბრალო მორთულობად მიაჩნია. იგი ისევე აფასებს მათ, როგორც კერძო კაცი ძველ საგვარეულო ავეჯეულობას, რომელიც ცოტა უხერხულია სახმარად, მაგრამ, სამაგიეროდ, ლამაზი და შნოიანია. იგი ხალისით იცავს მათ, მხოლოდ ერთის პირობით,—რომ გზაზე არ გადაეღობონ და ხელი არ შეუშალონ ცოცხალ და მომქმედ ძალის მოძრაობას. რამდენადაც საარჩევნო უფლება საშუალებას იძლევა ერის უფრო სრულად და სისწორით წარმოსადგენად წარმომადგენლობითს დაწესებულებაში, იმდენადვე ინგლისი თავს ანებებს რთულ მთავრობის თეორიას, რომლის ნაკლულევანიან ნიმუშად სთვლიან მას დღესაც ზოგიერთი პუბლიცისტები. ხალხის თვითმპყრობელობა და სახელმწიფო ძალის ერთობა—აი ორი პრინციპი, რომელიც შეადგენს დღეს ინგლისის კონსტიტუციის საფუძველსა და შინაარსს“.

ის პოლიტიკური ცვლილების მსვლელობა, რომელიც აქ აღნიშნული აქვს ბუტმის ინგლისის შესახებ, მარტო ინგლისს კი არ შეეხება, არამედ სხვა ქვეყნებსაც: ეს საზოგადო მოვლენა არის. ყოველგან საპარლამენტო რეჟიმის ევოლიუცია ამ გზით მიდის. ყოველგან ხალხის წარმომადგენლების ძალა და გავლენა ქვეყნის მართვა-გამგეობაში იზრდება და ხალხი თვითმპყრობელი ხდება. სამინისტროს პასუხისმგებლობა პარლამენტის წინაშე აუცილებელი შედეგია ამ პროცესისა.

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

10 ივნისი.

ჟიტომირი, 10 ივნისი. ბაზრობის დროს კოველსკის მაზრაში, სოფ. იურევიჩს, ებრაელები აიკლეს. ადამიანის მსხვერპლიც იყო... დაწიოკებას მარცვალ თან სდევდა. არეულობა მალე ჩააქრეს.

რიბინსკი, 10 ივნისი. რიბინსკის ბირჟაზე მოვაჭრე სოვდაგართა საზოგადო კრებამ ის აზრი გამოსთქვა, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ მოწვეულ იქმნენ ხალხის წარმომადგენლნი.

ლიბავა, 10 ივნისი. სტუსადოში ბატიმართა

ამბოხება მოხდა. ტუსაღებს ქუჩიდან ხალხი ეშველებოდა. პოლიციამ წესიერება დაამყარა. ოთხშაბათს აქედ გაფიცულ მუშათა გუნდი საროსკიპო სახლებს იკლებს. დღემდე 12 სახლია აკლებული.

სტოკჰოლმი, 10 ივნისი. იუწყებიან, რომ სამინისტრო გადადგა. ავტონ ბლადსტოს აზრით, ზედა პალატა ნორვეგიასთან მოლაპარაკებას უარჰყოფს, ქვედა პალატა კი შეიწყნარებს.

ნიუ-იორკი, 10 ივნისი. სწრაფი მატარებელი, რომელიც ჩიკაგოდან გამოვიდა და საათში 112 კილომეტრს გადიოდა, ლიანდაგს გადასცდა. 13 კაცი მოკვდა, 20—დაშავდა.

მადრიდი, 9 ივნისი. მეფემ სამინისტრო დაამტკიცა: მინისტრ-პრეზიდენტად—მონტერი, შინაგან საქმეთა მინისტრად—გარსია პრიეტო, გარეშე საქმეთა მინისტრად—სეპრომანე. ფინანსთა მინისტრად—ურზეგი, სამხედრო—ვენა, განათლებისა—მელიადო.

პარიზი, 10 ივნისი. პრინცი არისუგა ბრიუსელს მოვიდა. ვაგზალზე მეფე ლეოპოლდი სამხედრო პატივისცემით დაუხვდა. არისუგა 10 დღეს დარჩება ინგლისში და იაპონიის ჯავშნოსანის ზღვაში ჩაშვებას დაესწრობა. 14 ივნისს ბუკინგემის სასახლეში მეჯლისს გაუმართავენ. ნეგუს მენელიკი ესტუმრება რომს, პარიზს და ლონდონს. პაპის საზაფხულოდ კასტელ განდოლფოში მოსვლის განზრახვა ჰმოწმობს, რომ კვირინალთან დამოკიდებულება გაუმჯობესებულა. „ტემპ" ეხება იემენის ამბოხებას და იმ აზრისაა, რომ ოსმალეთს ამბოხების ჩასაქრობად საკმაო ჯარი არა ჰყავს, რუსეთს კიდევ ხელები შეკრული აქვსო. როგორც ეტყობა, ინგლისი მხარს აძლევს ამბოხებას, რომ შემდეგ პროტექტორობა მოიპოვოს, რაზედაც არაბეთის შერიფსა და ლორდ კრომერს თათბირი უკვე ჰქონიათ. გაზეთი აღნიშნავს, რომ საფრანგეთმა და გერმანიამ ნება არ უნდა მისცეს ინგლისს ცალკე მოქმედებისაო.

ლონდონი, 10 ივნისი. ხმა დადის, რომ გენერალი სერ ლიტლტონი სამხრეთ-აფრიკის ამბების გამო სამსახურიდან გადადგაო. იუწყებიან, რომ სპარტის, ჰერცოგი საბერძნეთის ტახტის მემკვიდრე, ახლო ხანში ინგლისის სამეფო სახლობას სადარბაზოდ ესტუმრებაო.

მელბურნი, 9 ივნისი. ავსტრიის პარლამენტში კრიზისს მოელიან.

სიმლა, 10 ივნისი. ადგილობრივი პრინცები ჩივიან, რომ ვიცე-კოროლს მეტად ბევრი ადმინისტრატიული საქმეები აქვს და პოლიტიკური მოვალეობანი შესაფერად ვეღარ აუსრულებიაო. იმათის აზრით, ვიცე-კოროლს აღარაფერი უნდა დააკისრონ სამხედრო უწყებაში. პეშავერის ჯარის უფროსს სერ ბარროუს მაგიერ გენერალ ელლისს ნიშნავენო.

ერივანი, 9 ივნისი. ახალი გენერალ-გუბერნატორი, ნაპოლეონი, ჩამობრძანდა. იმედი აქვთ მშვიდობიანობის დამყარებისა.

კავკავი, 9 ივნისი. საბჭოს წევრთა კერძო კრებაზე თათბირი გამართეს, რომ მოსკოვში განსხვაებულ [illegible] მაჭმადიანთა დეპუტაცია, რომელსაც თავისი შუამდგომლობა ცალკე ჰქონდა აღნიშნული. ხელმწიფის მოადგილე თითქმის ყველა მუხლების შესრულებას დაჰპირდა და სთხოვა წარმომადგენლებს, რამე ღონეთ თათრებსა და სომხებს შუა უთანხმოების მოსასპობად. დეპუტაცია დაჰპირდა, ნდობასათვის ნამესტნიკს მადლობა გამოუცხადა და სთხოვა სომხები ხუდარ ეცდებიან თვითონ უთანხმოების გამოწვევას, და თვითონ მაჭმადიანებს ხელში იარაღს ნუ აძლევინებენ.

პეტერბურგი, 9 ივნისი. სახაზინო და კერძო რკინის გზების უფროსებმა საჯაროდ სცნეს, რომ რკინის გზაზე მოსამსახურეთ ორის წლის სამსახურის შემდეგ ყოველ წლიურად ორ-ორი კვირა დასთხოვნილ იქმნან ხოლმეო.

პეტერბურგი, 9 ივნისი. 10 ივნისის სხდომაზე მინისტრთა კრებამ განიხილა 18 თებერვლის რესკრიპტის ძალით. შემუშავებული მუხლები იმის შესახებ თუ როგორ უნდა მოხდეს არჩევანი და ვინ უნდა დაუშვან ამომრჩევლად.

ოდესსა, 10 ივნისი. დუბინსკის, რომელმაც ბოქაულ ოლშევსკის მოკვლა სცადა, სამხედრო სასამართლომ ჩამოღრჩობა გადაუწყვიტა. შტიბელმანს, რომელსაც პოლიცმეისტერის მოკვლის სურვილისთვის სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს, ეს სასჯელი უვადო კატორღით შეუცვალეს.

მეშედი, 9 ივნისი. ასხაბადიდან 20 კაზაკის მოსვლამ ადგილობრივ მკვიდრთ გული დაუმშვიდა.

თეირანი, 9 ივნისი. დედაკაცების გროვამ მემკვიდრის ეტლი გააჩერა და სთხოვა, სანოვაგე და საკვები დაგვიაფეთო. მემკვიდრე დაჰპირდა, ზომებს მივიღებთ.

ლონდონი, 9 ივნისი. „ლურჯი წიგნი" გამოამჟღავნებს, სადაც ინდოეთის დაცვის ორგანიზაციის მიწერ-მოწერაა მოთავსებული. პირველს დეპეშაში ბროდრიკი ამბობს, რომ ავღანისტანის საზღვრებზე რუსეთის სტრატეგიულ გზების გაფართოებამ სამხრეთ-დასავლეთი მხარე საფრთხეში ჩააგდოო. მობილიზაცია მეტად ვრცელს შიდამოს დაიჭერსო. უმაღლეს მოხელეთა შორის არსებული განხეთქილება ცუდად იმოქმედებდა ომზედაო. ვიცე-კოროლის საბჭო არსებულ სისტემას ესარჩლებოდა. კიტჩნერი საბჭოს გაუქმებას თხოულობდა და ამბობდა, რომ ნელა და გვიან, მაგრამ ევროპის სახელმწიფოები შუა აზიის უდაბნოებს გამოიკვლევენ, ეხლა რკინის გზითაა და ~ ქსელიდით. ჩრდილოეთის მომიჯნავე მეზობელი საომრად ემზადება და ჩვენც თავის დასაცველად ბრძოლა მოგვიხდებაო. ბროდრიკმა ვიცე-კოროლს დაწვრილებითი პასუხი გაუგზავნა და ჰატყობინა: მთავრობის დადგენილებაა—მთავარსარდალ კიტჩენერს სრული თავისუფლება მიანიჭეთ არა უგვიანეს 18 სექტემბრისაო.

პეტერბურგი, 9 ივნისი. ოფიციალურად. რადგანაც ერევნიდან მოსული ბევრი ტენდენციური დეპეშები იბეჭდება გაზეთებში, კავკასიის ნამესტნიკმა გრაფმა ვორონცოვ-დაშკოვმა დეპეშით აცნობა შინაგან საქმეთა მინისტრს: როგორც გუბერნატორები ატყობინებენ, გენერლები შელდოვი და ალიხანოვი, ერევნის შიდამოებში სისტემატიური ხოცვა, ძარცვა, აკლება და ცეცხლის წაკიდება აღარ არის, აქა იქ იშვიათი შემთხვევა თუ სადმეო. უმთავრესი დამნაშავენი შეიპყრეს. დაზარალებულთა და დაშავებულთა ფულითა და ქმობით ეხმარებით. მცხოვრებნი წესრიგდებიან და უწინდელს ადგილებს უბრუნდებიან. ვაჭრობა განახლდა. დაკარგულ და გაქცეულს ქონე[illegible] ჯარი უკან არ გამოგზავნებდა, [illegible] რები მაშნ მეუპერიათ.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები.

(რუსეთისა და პეტერბურგის სააგენტოებისაგან)

11 ივნისი.

ტოკიო. მანჯურიაში ძლიერი წვიმებია. ველები ნიაღვარმა წალეკა, სურსათის ურმებს მოძრაობა უჭირთ. იაპონელები უკეთეს პირობებში არიან, რადგან უფრო მოძრავი ხალხია. რუსები მაშველ ჯარს ჰგზავნიან გუნჟულინსა, ჩანჩუნსა და გირინში. მოწინავე რაზმებამდე სურსათის მიტანა მეტად გაძნელებულია. ლინევიჩს კაზაკების იმედი ჰქონდა, ცნობებს მომიტანენო, მაგრამ ვერაფერი ვერ მოახერხეს!

კარსაკოვსკი პოსტი, 10 ივნისი. ნაციმპირალნი, რომელთაც ნება დართეს ბინადრობა მიეტოვებინათ, სამხრეთ სახალინსა სტოვებენ და ალექსანდროვსკითა და ნიკოლაევსკით მიემგზავრებიან. მომეტებულს 600 ვერსი აქვს ფეხით გასავლელი, ბევრი წვრილი პალღებით არის, სახალინიდან აბარგება ცხოვრების გაძნელებამ აიძულა.

ტოკიო, 9 ივნისი. თუმცა ცნობები მივიღეთ, რომ ლინევიჩმა პირველი თავსაფარი მიატოვაო, მაგრამ ძნელი საფიქრებელია, რომ მას ჩანტუნ-გირინის ლიანდაგი მიეტოვებინოს. იაპონიის საავადმყოფოში 40 ათასი დაჭრილი და ავადმყოფია. იაპონიის სამხედრო მინისტრმა ინსტრუქცია გაუგზავნა მანჯურიის ჯარს, ზავის ჩამოგდება ჯერ უზრუნველყოფილი არ არის და იაპონიის ოფიცრებს და ჯარის-კაცებს ახლა უფრო ევალებათ თავის მოვალეობის სინიდისიერად აასრულონო.

ბერლინი, 10 ივნისი. ფინანსიურ საკითხების კარგი მცოდნე გაზეთი ამჟღავნებს, რომ ბრიუსელისა და საფრანგეთის საზოგადოებათა სხვადასხვა ბანკებს და ბერლინის რამდენსამე საბანკო ფირმებს, რამდენიმე ბანკმა წინადადება მისცა, რა წამს რუსეთი ზავს ჩამოაგდებს, ხელი გავუმართოთ და რამდენიც დასჭირდება, ფული ვასესხოთო.

ტოკიო, 9 ივნისი. კორეაში რუსებმა უკან დაიხიეს. ამბობენ, ძალიან აწუხებდა სანოვაგის სიცოტავეო. მიუხედავად ამისა ტუმენის სამხრეთით კიდევ სამი-ათასი რუსი იმყოფება. არის საბუთები ვიფიქროთ, რომ ლინევიჩს მთელი თავისი ძალ-ღონე დასავლეთიდან რკინის გზასთან უნდა მოაგროვოსო. როგორც ეტყობა, რკინის გზის დაცვა ლინევიჩის უმთავრესს საზრუნავს შეადგენს. ეჭვს გარეშეა, რომ მისი უმთავრესი მოსაგერებელი ადგილი ჩანტუნსა და გირინის შუა იმყოფება. ზოგიერთი იაპონური გაზეთი ირწმუნება, რომ ბრძოლა ამ ახლო მომავალში დაიწყებაო. მეორენი კი ამბობენ, წვიმების გათავებამდე ბრძოლას არ დაიწყებენო.

ტოკიო, 8 ივნისი. კორეიდან დაბრუნებული კორესპონდენტი აღწერავს იმ რეფორმებს, რომლებიც იაპონელებს შემოუღიათ. სამხედრო პირებმა რეფლფუზანის გზის სადგურიდან, სანროშიპიდან მოზამპას ნავთ-სადგურისაკენ გზა გაიყვლიეს. რეფლში სამხედრო რკინის გზის შენობა უკვე დაამთავრეს, დაიწყეს ახალის კეთება. მეორე რკინის გზა მდ. დაიდოკის მარცხენა [illegible] გაიყვანეს.—[illegible] ლებად დანიშნა ამერიკელი სტივენსი და მეგატი. პირველს მიენდო გარეშე საქმეები, ხოლო მეორეს—ფინანსიური. გენერალი ნოძუ მანჯურიის ჯარებში მყოფ ნოძუს სახლი-კაცი, კორეის ჯარების უფროსად დაინიშნა. პოლიციის რეორგანიზაცია მიახდინეს. ბრიტანიის საელჩოს ჯარები, 10 ივნისს, სეულიდან გავლენ.—იაპონიამ ჩინეთისთვის კრეისერი გააკეთეს. იაპონია ჩინეთს ახალს ფლოტს აუშენებს და ოფიცრებსა და სალდათებს გაუწვრთნის. გერმანიის ჯარებს მალე ჩინეთიდან გაიყვანენ.

ნოგის მთავარი სადგომი, 9 ივნისი. ამასწინად მიშჩენკოს რაზმს მიეშველა კავკასიის ცხენოსანთა დივიზია. რაზმი ენერგიულად მოქმედობს. 4 ივნისს იაპონელებმა ორის კოლონით წინააღმდეგობა გაუწიეს რუსის ცხენოსან რაზმს და ლიახეს მარჯვენა ნაპირიდან მარცხენა ნაპირზე გადარეკეს. ამ ოპერაციის დროს გერმანიის პრინცი კინაღამ ტყვედ ჩაუვარდა მტრებს.

ლონდონი, 10 ივნისი. (რეიტერი). გრაფმა პერსიმ ქვედა პალატაში განაცხადა, რომ იაპონელებს ამერიკელების და ბრიტანიის სავაჭრო ფირმების პორტ-არტურიდან დათხოვნის შესახებ არაფერი ბრძანება არ გამოუციათო.

ტოკიო, 9 ივნისი. იაპონიას განზრახვა აქვს ჩინეთს ფლოტი აუშენოს, ჩინეთის ოფიცრები და მეზღვაურნი თანამედროვე სამხედრო ხელოვნებით გაუწვრთნას. გერმანიის ჯარი, ციანტაუს გარდა, ჩინეთის ყველა ადგილებიდან უკან დაიბარეს. გერმანიამ მათი მისსია შესრულებულად სცნო. განსაკუთრებით იაპონიის გამარჯვება ასურვებინებს გერმანიას,—ბოლო მოუღოს იმ ეროვნულს გამწვავებას, რაც უცხო ერთა ჯარის ჩინეთში ყოფნას მოსდევსო.

(დამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ზავი. იაპონიის ელჩმა ბერლინში, ინუიემ, „ბერლ. ლოკ. ანც."-ის თანამშრომელს უთხრა: ზავის ჩამოგდების დაჩქარება რუსეთზეა დამოკიდებული. თუ რუსეთმა მოსალაპარაკებლად მარტო ისეთი დიპლომატები გაჰგზავნა, რომელნიც იაპონიის პირობებს შეიტყობენ და თავის მთავრობას გადასცემენ—აქედან არა გამოვა-რა. საჭიროა რუსეთმა რწმუნებულნი გაჰგზავნოს და ფართო უფლებანი მისცეს ამ რწმუნებულთ. იაპონია მხოლოდ ამათ ეტყვის თავის პირობებს, სხვებს კი-არც მიიღებსო. მომავალ მოლაპარაკების დროს ზავის შესახებ რუსეთი ვერაფერს იტყვის კორეაზე, რომელიც არც ინდომებს, რომ იაპონიის გარდა სხვა ვინმე ჩაერიოს იმის საქმეში. (რ. ს.).

საფრანგეთის მინისტრ-პრეზიდენტი რუვიე იაპონიის ელჩს მანოტოს ესაუბრა ზავის შესახებ. მონოტომაც განუცხადა, უბრალო დიპლომატებს იაპონია არ მიიღებსო. რუსეთმა მთელი საელჩო—რამდენიმე რწმუნებული—უნდა გამოგზავნოს და თან დიდი უფლებები მისცეს. ჩვენც სამ-ოთხ კაცს გავგზავნით მოსალაპარაკებლად და, თუ რუსები გონიერად მოიქცევიან, მოლაპარაკება მალე გათავდებაო (რ.).

ერთ რუს დიპლომატს «მატენის» კორესპონდენტისთვის განუცხადებია: ჩვენ ყველაფერს გადავუხდით, მანჯურიასაც დავუთმობთ, ლიაოდუნსაც, პორტ-არტურსაც, ხოლო სახალინსა და ვლადივოსტოკზე ლაპარაკსაც არ გავაბედვინებთ.

მანჯურია და პორტ-არტური რუსეთს არ ეკუთვნოდა, ვლადივოსტოკი და სახალინი კი რუსეთის საკუთრებაა და ამ საკუთრებას არავის დაუთმობს. „მატენი" ამის გამო შენიშნავს: იაპონელებს თქვენთვის რომ ეკითხნათ, თქვენ არც კორეას დაუთმობდით, არც პორტ-არტურსა და არც მანჯურიას. იაპონელები ახლაც ასე მოიქცევიან: ვლადივოსტოკსაც აიღებენ და სახალინსაც, რუსეთის ჯარს კი ან დაატყვევებენ, ან ისე გაანადგურებენ, რომ ნაფლეთები-ღა დარჩეს (რ.).

ზავის პირობები. უცხოეთის პრესსის სიტყვით, რუსეთი მზად არის იაპონიას შემდეგის პირობებით შეურიგდეს: სამხრეთი და შუა მანჯურია (ხარბინამდე) ჩინეთს დაუბრუნდება; მანჯურია იაპონიის სამხედრო და ადმინისტრატიულ პროტექტორატის ქვეშ იქნება; კორეაც ასეთ პირობებით დაეთმობა იაპონიას; პორტ-არტური და რკინის გზა ხარბინამდე იაპონიას მიეცემა. სახალინი იაპონიის საკუთრებად გახდება; ციმბირის რკინის გზა და ვლადივოსტოკი ღია იქნება საერთაშორისო ვაჭრობისთვის.

მაგრამ იაპონია ამას არ დაკმაყოფილდება და მოითხოვს, რომ რუსეთის ის გემები, რომელნიც სანეიტრალო ნავთ-სადგურებში დგანან, იაპონიას გადაეცეს; ვლადივოსტოკის ციხე დაინგრეს; რუსეთმა შორეულ აღმოსავლეთში 25 წლის განმავლობაში ფლოტი არ იქონიოს; იაპონია დაიჭერს ვლადივოსტოკსა და ამურის ოლქს იმ დრომდის, სანამ რუსეთი კონტრიბუციას არ გადაიხდის (რ. ს.).

რუსეთის გენერლების მუქარა. ლინევიჩი, კუროპატკინი და სხვა გენერლები პროტესტს აცხადებენ, ჩვენ, დღეს თუ ხვალ, გამარჯვებას ვაპირობთ, თქვენ კი რიგდებითო. ამის გამო „ინდ. ბელჟ." სწერს: განა ერთხელ და ორჯერ დაგვპირდნენ რუსეთის გენერლები და ადმირალები გამარჯვებას, მაგრამ გამარჯვების მაგიერ განუწყვეტლივ მარცხდებიან. აბა, ერთი თვითონ კუროპატკინმა მოიგონოს თავისი ბრძანება შახეს ბრძოლის წინ, იმუქრებოდა, ახლა კი გავიმარჯვებ და იაპონელებს სამაგიეროს გადავუხდიო, მაგრამ ისევ დამარცხდა და კუდ-ამოძუებული ჩრდილოეთისკენ წავიდა. ამ მაგალითებმა ჯერ ჭკუა ვერ ასწავლა გენ. ლინევიჩს, რომელმაც იცის, რომ დამარცხდება, მაგრამ მაინც ყოყოჩობს და მამლაყინწასავით ფაფხურობს (ს. ო.).

იაპონელი ჯაშუშები. „ჟურნალ"-ის კორესპონდენტს კუნძულ მადაგასკარის გენერალ-გუბერნატორთან უსაუბრნია. გუბერნატორს უთქვამს: „იაპონელებმა საუცხოვოდ მოაწყეს ჯაშუშობა და მშვენივრად ადევნებდნენ თვალ-ყურს როჟესტვენსკის ესკადრის მოძრაობას. სანამ როჟესტვენსკის ესკადრა ჩამოვიდოდა, მადაგასკარზე ორი იაპონელი აფიცერი მოვიდა. ცოტა ხნის შემდეგ ამ აფიცრებს 12 იაპონელი ქალი მოუვიდათ... გახსნეს სამხიარულო სახლი. როჟესტვენსკის ესკადრაც მოვიდა. ეს სახლი დილიდან საღამომდის რუს აფიცრებით იყო სავსე. აფიცრები თვრებოდნენ და იაპონელ ქალებს ეარშიყებოდნენ, ისინი კი ყველა საიდუმლებას იგებდნენ და აფიცრებს ატყობინებდნენ! (რ. ს.).

ახალი ამბავი

— **სეირნობა და ბაზარი**, რომელიც დანიშნული იყო **ქ. შ. წერა-კითხვის საზოგადოების სასარგებლოდ** დღეს, 12 ივნისს, ბელვიუს ბაღში, **გადაიდო მომავალ კვირისათვის**, 19 ივნისისთვის.

ფელეტონი

გაზაფხულის სურათები

გაზაფხულია. დაწვიმა,
გული დაულბო მიწასა;
იმისი მოსვლა ძალიან
გაჰხარებია ბიძასა.

—

ბუთანში აბამს ხარებსა,
ბლომად გაჰქმა ხნულები...
ურჩება ცივის ზამთრისგან
გულს დარჩენილი წყლულები.
სხვანიც რომ იმას ჰბაძავენ:
გადაუყრიათ ცულები.

—

ყველა ბარ-სახნისს შეჰყურებს,
ბელტოს აწვენენ ბელტზედა,
არ დაეკარგეისთ ამაგი,
იმედოვნებენ ღმერთზედა:
მოწყალე არი უფალი,
კაცს არ უკარგავს ამაგსა,
სულ ოქრო-ვერცხლით შეჰმოსავს
მათ ოფლით მორწყულს ალაგსა.

—

მიწაცა ჰყვავის, ტყეც ჰყვავის,—
გული მუშისაც ესია,—
ერთი ათასად იქცევა,
რაც იმას დაუთესია.

—

ბაღდებს ქალმები ჩაეცმის,
დიასახლისებს კაბები,
დუქანში არ იხარუნებს
იმათ თანგირა ქვაბები—
გირაოდ, როგორც წინადა
არბენინებდნენ ჩაფრები.
ცაზე მოფრინვენ წეროხი,
მოაქვთ საამო ამბები.
ახია შენზე, ზამთარო,
ჰხედავ, გებნევა დავთრები!

—

მთაც ამწვანებას აპირობს,
ქანგს იყრეინებს ქედითა,
ნისლებს სჯრის, ელვასა ჰმუსრავს
გაუტეხელის მკერდითა.
თან ბარს მოკითხვას უგზავნის
ფიქრითა ერთად-ერთითა:
„იცოცხლე, დაო ლამაზო,
რომ მუდამ მყვანდე გვერდითა.

შენ აღსდეგ, შენი ძმაც დგება,
ნუ გეშინიან, მკვდრეთითა!"

—

მალევე, ძალიან მალე,
მთა აივსება ცხვრებითა..
მადლი აქვს, დიდი ბარაქა,
იმის ამაგით ეძღებითა!

—

ჩიტები რასას სჩადიან?
რასა ფიქრობენ გზიანსა?
—დაფთხიალობენ, ცელქობენ
ტკბილად უმღერენ იასა.
დასდევენ დასაჭერადა
მარდად ბუზსა და ჭიასა;
ბუდესა სდგამენ, კვერცხს სდებენ,
შვილებს დაზდიან ფრთიანსა.
სარჩოს, სიცოცხლეს ჰპატებენ
ამ ჩვენს ქვეყანას მთიანსა.

—

კორდზე კურდღელი კუნტრუშობს,—
უყურეთ იმის ცქრიალსა,—
თან იცქირება ტყისაკენ,
ყურს უგდებს ფოთლის შრიალსა...
აშინებს, ნუ გააგონებ,
ღმერთო, მას თოფის გრიალსა.
სიკვდილი თან სდევს უწყალო
ტყვიას, თოფის ხმას, ტიალსა.

—

ხეები რასას ფიქრობენ?
სადა ჰქრის მათი გონება?
— ბუნებას თავის წესი აქვს,
ყოველა მას დაემონება,—
აღელვებული მდინარე
გენახეის, გაგეგონება:

—

ჯურღმულში მოთამაშობენ
იმ ძველის-ძველის წესითა,
ზოგან მღერიან ლაღადა,
სხვაგან მიდიან კვნესითა,
ზოგან მუქარას უთვლიან
ქვა-კლდეებს, ხმლების ლესითა.
როცა კი გაიმინდვრებენ,
ხეებსა ჰგლეჯენ ფესვითა...

—

„გზა, გზა მოგვეცით!—ჰყვირიან:—
ნუ გვიშლით ლაღად დენასა.
ბუნება ხარობს. შებორკილს
როს ამოვიდგამთ ენასა,
ბევრად გეირჩევნის სიკვდილი
მშობელის დედის წყენასა!"

გაიმინდვრებენ, მიდიან
ცხვრებივით დაქსაქსულები,
ჩუმად და უწყინარადა,
როგორაც მკვდართა სულები.

—

დღისით გუგულის ხმა ისმის,
ღამით ბუს გვზარავს კივილი,
ზამთარ და ზაფხულ ბეჩავის
ერთი და იგივ ჩივილი.
არ იქნა, როდი ურჩება
საცოდავს გულის ტკივილი!
არ იცვლის ელ-ფერს მისი ხმა,
როგორაც მამლის ყივილი.
ღამით დარდები აწუხებს,
დღისით ჩიტების ჟივილი.
ეზოს ვერ ჰნახავ, არ გესმას
კრუხთან წიწილის წივილი.

—

გავხედე მინდორს თვალ-უწვდენს,
ჰყვაოდა ათას ფერადა,
მზე ადგა ორმოც-თელიანი,
მას უფროც გაეფერადა.
თავს დაჰბრუნავდა არწივი,
მისი მხარ-ბეჭი ელავდა.
რას დაეძებდა, არ ვიცი,
და ან რა ფიქრებს ჰკვეთავდა.
ამ სურათების მნახველი
გული კაცისა ჰღელავდა.

ვაჟა-ფშაველა.

ამხანაგები

სამნი იყვნენ. სამთავეს ერთი სენი სჭირდათ: წერა უყვარდათ.

სწერდნენ ყველაფერს, რაც მოხვდებოდათ: ლექსებს, მოთხრობებს, ნოველებს, პუბლიცისტურ წერილებს...

დიდ მეგობრებად ითვლებოდნენ, მაგრამ ერთმანეთი კი ჭირივით ეჯავრებოდათ.

როდესაც ერთ მათგანს მუზა გამოესაუბრებოდა ხოლმე, მეორე შურითა კვდებოდა.

— დამასწრო, დამასწრო ამ წყეულმა.... თემა მომპარა... თითონაც ვერ გამოიყენა და მეც გამქურდა... უნიჭო... ყოვლად საპყარი... სადაური მწერალია!..—გაივლებდნენ ხოლმე გულში ერთი-ერთმანეთის წინააღმდეგ. თუმცა ერთმანეთს პირში კი არას ეუბნეოდნენ...

ხანდახან კიდეც აქებდნენ ხოლმე ერთმანეთს.

— მშვენიერება რამ იყო, ბიჭო, აი, ის... რა ჰქვიან?.. ჰმ... აი, სიყვარულზე რომა გაქვს დაწერილი!—ეტყოდა ხოლმე ერთი მეორეს, თუმცა არც ერთი არ კითხულობდა ერთი-მეორეს ნაწერს.

ამხანაგის ნაწერს დაბეჭდილს რომ მოჰკრავდნენ ხოლმე თვალს, გაზეთი იყო თუ ჟურნალი, ჰმუჭნიდნენ და ისე გადაისროდნენ ხოლმე.

— საძაგელი! ვითომ და მწერალია! რას მიედმოედება, რასა ჩმახავს... ვინ წაიკითხავს?..

მართლაც მათ ბევრი არავინ კითხულობდა.

თვალებსა და ტვინს ჩვენში ბევრი უფრთხილდება.

ერთ დღეს სამივე ამხანაგი ერთად შეიყარნენ. კარგ გუნებაზე იყვნენ. სიკო, ის-ის იყო, ქეიფობიდან დაბრუნდა, ჩიკო—არშიყობიდან და კიკო—რედაქციიდან.

— ძალიან გადავხუხე,—სთქვა სიკომ და გაიცინა.

— ძაან ვიარშიყე,—სთქვა ჩიკომ,—თვალები მილულა, ულვაშებში ჩაიცინა და ხელზე იკოცნა—ისეთი ლამაზია, როგორც მოწყვეტილი ყვავილი!..

— სხვა შედარება ვერა მოიგონე-რა? ეგ ხომ გაცვეთილი, გათელილი შედარებაა. არა ხარ, შვილო, პოეტი და რა ვქნა?!...—გააწყვეტინა კიკომ. ჩიკომ იწყინა, სიკომ უფრო ხმა მაღლა გადიხარხარა.

— ტყუილია ჩემისთანა!—განაგრძო კიკომ—ისეთი მოთხრობა მივარბევინე რედაქციაში, რომ... რომ... რედაქტორი აღტაცებაში მოვიდა... მადლობა გადამიხადა... მაქო...

— სტყუის, ღმერთმანი!—გაივლო გუნებაში ჩიკომ, თუმცა შური კი იგრძნო.

— არ შეიძლება წაგვიკითხო?... ასლი ხომ გაქვს?—ითავაზიანა ჩიკომ.

— მაქვს, მაგრამ... როცა დაიბეჭდება, მაშინ წაიკითხეთ...

— კარგი ის არის, რომ ცხელ-ცხელი, ხელთ-ნაწერი წაიკითხო. ვინ იცის დაბეჭდვის დროს, ცენზორმა სულ გაანახევროს.

— აზრს თუ გაკრეჭავს, გრძნობას ხომ მაინც ვერ წამართმევს—წაიბურტყუნა კიკომ და თან ხელი უბისაკენ წაიღო. ძალიან უნდოდა წაეკითხა თავისი ხელთ-ნაწერი. ამჟამად სიკოს, და ჩიკოს თავის კეთილის მყოფელებად სთვლიდა,—მართლა რომ თავის ერთგულ ამხანაგებად ეჩვენებოდა. მადლეურია მადა განდიდებისა!

სიკომ ნაღვლიანად გააყოლა კიკოს თვალი და გაიფიქრა.—მართლა ღმერთი არ გაუწყრეს და კითხვა არ დაიწყოს, ვისა აქვს თავი, მაგის აბდაუბდას ყური დაუგდოსო.

სიჩუმე ჩამოვარდა. სიკომ რაღაც წიგნში ჩაყო ცხვირი, ჩიკო წარბ-შეკვრით ჩაფიქრდა. კიკო კი ცმუკავდა და უბეში ხელით რვეულს ათამაშებდა.

— ჰა, წაგიკითხოთ, თუ არა, ყმაწვილებო...—ვეღარ მოითმინა კიკომ—ყურს დამიგდებთ?..

სიკოს არ იამა ეს სიტყვები. პირი იქით მიიღო, წარბები შეიკრა, სული შეიგუბა.

ჩიკოც სავარძლის ზურგს მიესვენა, თვალები დახუჭა, გაინაბა.

— აბა დაიწყე—თითქმის ერთხმად წამოიძახეს სიკომ და ჩიკომ. მათი თავაზიანობა ყოველთვის სჭარბობდა ხოლმე მათ გულისთქმას.

კიკო ცოტათი წამოწითლდა, ჩაახველა, იქვე კუთხეში, სკამზე, დაეშვა, რვეული ჯიბიდან ამოიღო და დაბალის ხმით დაიწყო.

„გმირი ქალი".

„...კლდის ნაპრალზე იდგა მშვენიერი ყვავილი. გულ-წარმტაცი იყო, ვით ოცნება და უმანკო, ვით ღვთაება. მის გვერდით მოგოგავდა მთის წყარო, ზღაპრებს უამბობდა, ეარშიყებოდა. ყვავილი კი იდგა უსიტყვოთ, მხოლოდ სიამოვნებით ირხეოდა, ტოკავდა და ფიქრში წასული შორს, შორს გაიყურებოდა. თვალწინ სიყვარულისა, თავისუფლებისა და პოეზიის ქვეყანა უდგა. და... რადგანაც ასეთი ქვეყანა მხოლოდ ჩვენს ოცნებაშია, მთის ყვავილიც ოცნებობდა. ამდროს წამოუქროლა გიჟმა სიომ, ველიდან წამონატაცი კიწაწი მოსდო ყვავილის ღეროს და წელში გადასტეხა. მოკვდა ყვავილი, გაჰქრა ოცნება. გული მოუკვდა წყაროს. იტირა, იტირა და დადუმდა...

მეორე დღეს წყარო ისევ გამხიარულდა: ყვავილი დავიწყებოდა, მოთამაშობდა ცელქი ბავშვივით და გაუმაძღრათ ჰკოცნიდა ერთის ტურფა ასულის ბროლივით ფეხებს.

ასული იგი გამოჰქცეოდა ქვეყნის უსამართლობას, ადამიანთა დაუნდობლობას. იგი მოეტყუებინა ერთ ჭაბუკს, უკუ ეგდო და დავიწყებისათვის მიეცა. მაგრამ ქალი არ ივიწყებდა მას, მთელი დღეობით დადიოდა ტყე-ველად და დაეძებდა თავის ოცნებას, თავის დაკარგულ სიყვარულს... აი, ახლაც მოსულიყო წყაროს პირად, ფიფქა ფეხები წყაროში ჩაეყო და იჯდა გამოქანდაკებული ანგელოზივით. სახეზე გამოუთქმელი სევდა აღბეჭდოდა, მაღალი, ვარდის თაიგულივით შეკრული მკერდი უღელავდა, თვალთაგან სიმწარის ცრემლი ჩამოსდიოდა: იგი სტიროდა დაკარგულ ოცნებისათვის...

— ნუ, სტირი, ტურფავ, ნუ სტირი! მზე ამოვა, ღრუბლები გაიფანტება... დაგავიწყდება შენი

✦ რადგანაც უკანასკნელ საბჭოს კრებაზე ხმოსან ევანგულოვმა ქალაქის მოსამსახურეებს „დარმოედები" დაუძახა, გუშინ, 11 ივნისს, ქალაქის გამგეობის მოსამსახურენი შეიკრიბნენ საბჭოს დარბაზში და დაადგინეს: მოწვეულ იქმნას საზოგადო კრება, რომელმაც ევანგულოვს შესაფერი პასუხი უნდა მისცეს.

✦ კუკიის მისიონერთა ეკკლესიასთან არსებულ სამკითხველო-წიგნთსაცავის დარბაზში პარასკევს, 10 ივნისს, **შეიკრიბნენ რუსი მღვდლები**. კრებას თვით ექსარხოსიც დაესწრო. კრების საგნად 31 მაისის ინციდენტი იყო.

✦ გუშინწინ მომხდარ მოქალაქეთა კრებაზე დაადგინეს: **გამოუცხადონ თანაგრძნობა ქართველ სამღვდელოებას.**

✦ ტფილისში **ჩამოვიდა დანიის სახალხო უნივერსიტეტის ლექტორი** ოგე ბენედიკტსენი, რომელმაც გუშინ წერა-კითხვის საზოგადოება ინახულა. ლექტორი ამ დღეებში სპარსეთს მიემგზავრება.

✦ გუშინ, 11 ივნისს, სამოსამართლო პალატამ ხალხის დაუსწრებლად განიხილა საქმე ალექსანდრე სპანდაროვისა, რომელსაც **მთავრობის საწინააღმდეგო მწერლობის შენახვა ბრალდება.** პალატამ დამნაშავედ სცნო სპანდაროვი და 6 თვით ციხეში დაპატიმრება გადაუწყვიტა.

✦ გუშინ, 11 ივნისს, სამოსამართლო პალატის პირველ ნაწილში **გაირჩა საქმე ი. გრიგოლოვისა**, რომელსაც აკრძალულ ლიტერატურის გავრცელება ბრალდებოდა. ბრალდებული გაამართლეს.

✦ მალე ტფილისში ჩამოვლენ **საფრანგეთის მწერლები და ჟურნალისტები**, რომლებიც უკანასკნელ ამბების გამოსარკვევად კავკასიაში კარგა ხანს დარჩებიან (ჩ. ვ.).

✦ მოსკოვის არქეოლოგიურ საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრები, **ბ-ნნი ე. ს. თაყაიშვილი და ე. ა. ლალაიანცი**, არქეოლოგიურ გამოკვლევისთვის ტფილისის გუბერნიაში გაიგზავნებიან.

✦ როგორც გვატყობინებენ, **კახელ მევენახეთა საზოგადოების მუშები გაფიცულან.** მიზეზი შემდეგი ყოფილა: ზემოხსენებულ საზოგადოების გამგეობის ახალ წევრს, თ-დ ნ. ი. აბაშიძეს, მოსამსახურეებთან ერთად საქმის გაურჩევლად, როგორც ეს ჩვეულებრივად ხდებოდა ხოლმე, ერთი მოსამსახურე დაუთხოვნია. ამის გამო გაფიცულან კანტორის ყველა მოსამსახურენი, რომელნიც სამსახურიდან დაუთხოვნიათ. გუშინ გაფიცულან კახელ მევენახეთა საზოგადოების მუშებიც და დათხოვნილი მოსამსახურეების უკან მიღება მოუთხოვნიათ.

✦ პარასკევს, 10 ივნისს, ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვის ბინაზე, ექიმ ხუდადოვის თავმჯდომარეობით **სამედიატორო სასამართლო** გაიმართა, რომელსაც, განსახილველ საგნად ჰქონდა მოსკოვის სტუდენტის ა. პ. სემენენკოს საჩივარი: ლ. ა. ხერხეულიძე ცუდ ხმებს ავრცელებდაო ჩემზე, საზიზღარ ცილსა მწამებსო. სხვათა შორის, ბოლოსა მდებს ამხანაგობის გამცემლობაშიო. სამედიატორო სასამართლომ მომჩივან-მოპასუხეს და ერთ მოწმეს ჩამოართვა ჩვენება და საბოლოო რეზოლუცია შაბათისათვის გადასდო.

✦ ქუთაისის წმ. ნინოს დედათა სასწავლებელში წლის სწავლა 31 მოსწავლემ დაამთავრა. ამათგან 3 სომეხია და 19 ქართველი (ჩ. ვ.).

✦ ტფილისში იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდი ჩამოვიდა.

✦ ამ თვის ოცში, ქუთაისის **საოლქო სასამართლო გაარჩევს ბათუმში საქმეს** ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებ გლეხების: ანტონ რურუას, დავით ეჟიეშვილის, ბებურ სიმონიშვილის, სილოვან ივანიძის, ალექსი კუპრეიშვილის, ფარნა ნინუას და აზნაურების: გიორგი შავარდნაძის, ბენია (იგივე ბენიამინე), სამსონ და ლევან ჩხაკიეშვილის და ვლადიმერ ჯიბუთისას; ყველა ამათ ის ბრალი ედებათ, რომ ქ. ბათუმში, 1904 წლის 2 თებერვალს, **პატრიოტულ მანიფესტაციას ხელი შეუშალეს** და თავის მხრივ მთავრობის წინააღმდეგი დემონსტრაცია მოახდინეს. ბრალდებულთ იცავენ ტფილისელი ვექილები ი. მ. დოლუხანოვი, პ. ი. გრუზენბერგი და იოანისიანი.

✦ **უსახლო საზოგადოების გამგეობას** სულ საანგარიშო წელს სულ 537,065 მან. 85 კაპ. შემოსვლია.

✦ **ჟურნ. „მურჩის" დროებითი რედაქტორი ლეონ სარქისიანი** კავკასიის ნამესტნიკს ახლა ექვსი თვის ვადით დაუმტკიცებია ამავე ჟურნალის რედაქტორად და გამომცემლადაც.

✦ მცირე-წლოვან დამნაშავეთა სამზრუნველოის საზოგადოების სამმართველოს **თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქმნა ბ-ნი სულთან-კრიმ-გირეი**—თავმჯდომარის ამხანაგად ა. მ. მიტკევიჩი.

✦ პარასკევს, 9 ივნისს, სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე „გენერალნი ობშჩესტვოს" სიცოცხლის დამზღვევ საზოგადოების აგენტის ვლ. თავართქილაძისა, რომელსაც ამავე საზოგადოების ინსპექტორის ქობიაშვილის მოკვლა ბრალდებოდა. სამოსამართლო პალატამ დაამტკიცა საოლქო სასამართლოს დადგენილება და თავართქილაძეს 8 წლით მაღაროში მუშაობა მიუსაჯა.

✦ ქალაქის ხორცის დუქნებში ამიერიდან ისპობა ნიხრი და ყველა ხარისხის ხორცი 11 კაპიკად გაიყიდება.

✦ ქალაქის მიწაზე მოსული 15 ათასი ფუთი თივა უკანასკნელმა დიდმა წვიმებმა სულ წალეკა. ზარალი 2 ათას მანეთამდეა.

ქუთაისის ცხოვრება

ქუთაისის გუბერნიის მმართველის განკარგულებით, ექიმი გოტეკა ქუთაისიდან გადაყვანილ იქმნა ფოთის ქალაქის სასანიტარო-აღმასრულებელ კომისიის განკარგულებაში.

✦ ქუთაისის ქალაქის სასანიტარო-აღმასრულებელ კომისიის განკარგულებაში გუბერნიის მმართველის მიერ დაინიშნენ მეხუთე კურსის სტუდენტ-ექიმები ი. დ. ბოკერია და ბ-ხი დოსაბრაძე.

✦ ქალაქის სასანიტარო მზრუნველმა ექიმმა ზ. მ. დონდაროვმა უარი განაცხადა ქალაქის სასანიტარო-აღმასრულებელ კომისიაში მუშაობაზე, რადგან ეს კომისია დამოკიდებულია საგუბერნიო კომისიაზე, რის გამო მისი მუშაობა უსაყოფო ხდებაო.

✦ როგორც მკითხველებმა იციან, ამ წლის 25 მაისს, ქუთაისში მყოფმა სტუდენტებმა სურვილი განაცხადეს—დახმარება აღმოეჩინათ ქალაქის სასანიტარო-აღმასრულებელ კომისიისთვის ხოლერის წინააღმდეგ ბრძოლაში; საგუბერნიო კომისიაში (რომელიც ჯამაგირსაც უნიშნავდა მათ) მუშაობაზე კი გადაჭრილი უარი სთქვეს. შემდეგ სტუდენტებს გაუგიათ, საქალაქო კომისია საგუბერნიო კომისიას ექვემდებარებაო,—რის გამო შემდეგი მოსაზრება განცხადება წარუდგენიათ ქალაქის სასანიტარო კომისიის თავმჯდომარისათვის: „რადგან ჩვენ მხოლოდ იმ პირობით ვისურვეთ საქალაქო კომისიაში მუშაობა, თუ რომ სრულიად დამოუკიდებელი ვიქნებოდით ადმინისტრაციისაგან; რადგან ადმინისტრაციის წარმომადგენლის (პოლიცმეისტრის) მონაწილეობა საქალაქო კომისიაში ხელს გვიშლის თავისუფლად ვიმოქმედოთ ხოლერასთან ბრძოლის დროს; დასასრულ, რადგან ადმინისტრაციასთან ერთად მუშაობა პირდაპირ ეწინააღმდეგება ჩვენს შარშან დადგენილებას, რომლის ძალითაც შევეერთდით პიროგოვის მეათე კრების დადგენილებას,—ჩვენ, ქუთაისში მყოფი სტუდენტები, შეუძლებლად ვცნობთ ვიმუშაოთ ქალაქის სასანიტარო კომისიაში, რომელიც ექვემდებარება გუბერნიის სასანიტარო აღმასრულებელ კომისიას".

✦ მწვანილეებში (на зеленомъ базрѣ) უნებურად ყურადღებას იქცევს ერთი სანოვაგის დუქანი, რომელიც, ეს ორი დღეა, დაკეტილია იმ დროს, როდესაც მის გარშემო ყველა დუქანი ვაჭრობს. ამბობენ, ფირუდმა კომიტეტმა დაავალა მედუქნე მისთვის, რომ საერთო გაფიცვის დროს, როდესაც სხვების დუქნები დაკეტილი იყო, ის განაგრძობდა ვაჭრობას.

✦ ქალაქის საბჭოს შემდეგი სხდომა დანიშნულია 13 ივნისისათვის. ამ სხდომაზე, სხვათა შორის, განხილულ იქმნება გამგეობის წევრის გრ. ი. გველესიანის მოხსენება ვეტერინარიის შესახებ. საბჭოს-მიერ არჩეულმა კომისიამ უკვე განიხილა და მოიწონა ეს მოხსენება.

✦ 11 ივნისისთვის ქუთაისის თეატრში დანიშნული იყო ქართული წარმოდგენა, რომელიც ა. გ. წულუკიძის გარდაცვალების გამო გადიდო 14 ივნისისთვის.

ისარა.

სადღეისო

ნაწყვეტები

იყო დრო, როდესაც ჩემი ნაცნობი, დიდებულ სუფრაზე წამოჭიმული, უხვად მორთმეულ საჭმელს მხიარულად შეექცეოდა...

არავითარი ჯავრი არ აწუხებდა, დილიდან დაწყებული საღამომდის სულ ქეიფობდა...

შეეძლო კიდეც...

უზარმაზარი, მდიდარი მამული ჰქონდა, უთვალავი ყმა ჰყავდა.

ამ ყმების შრომით სცხოვრობდა, მათ ნაოფლარით ძღებოდა, მათ ამუშავებდა და თვითონ კი უშრომლად ატარებდა დროებას და ჰაირარალის გაიძახოდა...

მხოლოდ ხანდახან, ძალზე შექეიფიანებული გაიხსენებდა საზოგადოებას და სავსე ჭიქით ხელში გაიძახოდა: «საქართველო ჩვენია, ჩვენია!»

ქეიფში იყო...

—

დრო შეიცვალა...

გაისმა ახალი ხმა, ხმა „ბორკილის მტერეისა", გაისმა ახალი სიტყვა... თავისუფლება!

გუშინდელი მონა, შინაყმა, თავისუფალი შეიქმნა...

ჩემი ნაცნობი ერთხანს შეფიქრიანდა, ეგონა, ახლა კი დაიღუპეო, მაგრამ მიხვდა მალე, რომ მის ჯიბეს ეს „განთავისუფლება" არაფერს დააკლებს, რომ მიწა, როგორც შემოსავლის წყარო, ხელიდან არ ეცლებოდა.

მიხვდა, რომ შეუძლია თავისი გუშინდელი ყმა ქონებრივად ისევე იყმოს, ქონებრივად დაიმონოს...

რომ ღალა, სხვა ათასნაირი გადასახადი მის ხელთ რჩებოდა.

და მხიარული ისევე სუფრას მიუჯდა, დაიპატიჟა ამხანაგები, მონახა ძმა-ბიჭები, სვამდა და სავსე ჭიქით ხელში გაიძახოდა... „საქართველო ჩვენია, ჩვენია"!..

მხიარულობდა!..

—

ეს დროც მიისპო...

მუდმივ ქეიფით დაიცალა ნაცნობის ჯიბე...

აღარ ყოფნიდა გლეხის ღალა, ათასნაირი გადასახადი, მდიდრულ ცხოვრებას შეეჩვია, სტუმრობა დაიწყო, ჩაცმა-დახურვა, სეირნობა...

ამდენი სიამოვნება... უშრომელისთვის, მხოლოდ მამულის შემოსავლის იმედით!

და როდესაც ადგილის შემოსავალი აღარ ეყო, ხელი მოუჭირა გლეხს, მეტი გადასახადი მოსთხოვა, დაწესებულზე მეტი გადაახდევინა ძალით ან მოტყუებით, ურჩი სიტყვის მთქმელი, ხმის ამომღები გლეხი კი გაამათრახა, დაამცირა, ადამიანის ღირსება ფეხ ქვეშ გასთელა უწყალოდ.

გლეხებზე ზედმეტ ხელის მოჭერით მეტი შემოსავალი ნახა და ისევ ქეიფობდა და მხიარულად იძახდა: „საქართველო ჩვენია, ჩვენია"!...

არ ესმოდა მისგან შევიწროვებულ გლეხების კვნესა და ჩივილი.

ბოლოს იძულებული შეიქმნა—გაეგონა ეს კვნესა...

იფეთქა ახალმა ძალამ...

ისევე თავისუფლებას ახსენებს ყველა, მაგრამ უწინ ეს ხმა ზევიდან თუ მოდიოდა, ახლა ქვევიდან მოისმის, და მოისმის ძლიერად, შეუდრეკლად...

და ამ ხმამ მიაღწია ნაცნობის ყურამდის, მოესმა ახალი სიმღერა, რომელშიაც გამოიხატებოდა ახალი აზრები:

„ქმარა, რაც დღემდის მუქთახორა ჯგუფმა გაყვლიფა ხალხი...

„ის დრო წავიდა, ახალი ხანა დგება, მოდის თავისუფლება.

„ძირს ყველა, ვინც თვითონ არ შრომობს და მხოლოდ სხვის ნაოფლარით ცდილობს კუჭის გაძღომას, ბოლო ელება მათ ბატონობას!..

და შეშინებული, თავზარ-დაცემული ნაცნობი ცდილობს დაამშვიდოს აღელვებული ხალხი, პირს იბრუნებს მისკენ და იძახის:

ნუ ჩხუბობთ, ქმარა! ჩვენ გასაყოფი განა გვაქვს რამე, არ დაივიწყოთ, რომ საქართველო **ჩვენია, ჩვენია**, ჩემი და თქვენი ორივესიო.

და თან აქეთ-იქით იყურებოდა, ზევით საშველად ხელს აპყრობდა, რისიც იმედი ჰქონდა.

ეგონა, რომ მალე მოისპობოდა ძალით ახალი მიმართულება.

—

მოსტყუვდა...

ხალხმა გადაწყვიტა მოისურვა თავის იდეალის განხორციელება, ჩემი მუქთახორა ნაცნობის ან განადგურება ან მშრომელ ადამიანად გადაქცევა...

ეს რომ შეიტყო ნაცნობმა, იყიდა თოფ-იარაღი, აისხა ტანზე, ცხენზე შეჯდა და სოფელ-სოფელ დაიწყო თარეში...

სადაც შეხვდებოდა თავის „ურჩს", გალახავდა, გაამათრახებდა, ისევე ძველებურად ასწორებდა მიწასთან.

ეუბნებოდა: „ნუ მეურჩები, ერთად ვიყოთ, ძმები ვართ და ამიტომ ძველებურად მონად იყავი ჩემთანო".

არ გამიბედო თავისუფლების ხსენება, თორემ, მე თუ ვერ მოგერიე, შავი რაზმი ჩემ საშველად ახლავე მოვაო, და მაშინ ჩემი იქნება ძალაო...

და კმაყოფილი, რომ გონებაში გაიმარჯვა ხალხზე, გაიძღეროდა: ყველაფერი ჩემია, ჩემია...

არც კი რცხვენოდა.

—

არა ერთხელ დასჭირდა ამ რაზმის მოწვევა... მათი გაძღომა დაუჯდა ძვირად...

არ ეყო ძროხა და ცხვარი, ქათამი და ინდოური...

კოტრდებოდა.

კალიასავით მიესეოდნენ და მოუსპობდნენ ყველაფერს, რასაც კი უნახავდნენ...

შეწუხდა ნაცნობი. აღარ იცოდა რა ექნა და, რაკი ვერ მოიშორა, ერთის მხრივ, ხალხის „თავისუფლება" და, მეორეს მხრივ, რაზმის მშიერი კუჭი, მოწყენილი, დაღონებული იძახდა:

რა ვქნა,—ვაის გავეყარე, ვუის შევეყარეო.

და აღარ ვიცი, რაღაა ჩემიო, რაც გლეხს გადარჩა, ამ რაზმმა შემიჭამა.

მათი ყოფილა ეს ქვეყანაო.

—

ბოლოს რაზმის მოსაშორებლად და გლეხის დასაკმაყოფილებლად ჩემმა ნაცნობმა იღონა ხრიკი.

იფიქრა: გლეხს ყველაფერს მივცემ და ჩემ ზარალს ამხანაგებში განვაცხადებ და საზოგადო ფულს მომცემენ, საზოგადო ქონებას შემაძლევენო...

რაზმის გასაძღომად კი ისევე საზოგადო ქონებას მოვიხმარ, სხვის ნაოფლარს მათვე ჩავუგდებ ხელში, ათი-ათასობით ფულს მივცემ...

დეე, ითარეშოს შავმა ძალებმა! დეე, საშვილიშვილოდ საგონებელი შევიქმნე, დეე, სამარცხვინო ბოძზე ამ შავ ძალებთან ერთად მიმაკრას შთამომავლობამ...

ჩემსას ხომ გავიტან, ისევე საქეიფო ფულს ვიშოვნი და შემდეგ კი, რაც მოხდეს, მოხდესო.

(ცა ქუდად არ მიმაჩნია, დედამიწა ქალამნადო... არ მენაღვლებაო.

უცხო.

ინგლისის წარსულიდან

არ შეიძლება შეურიგდეს ადამიანი იმ წყობილებას, სადაც მას არა აქვს უზრუნველ-ყოფილი პიროვნების თავისუფლება.

ყველგან, ყველა სახელმწიფოში ცდილობდა ადამიანი ადმინისტრაციის ჩვეულებრივ თვითნებობის ალაგმვას, ყველგან ხალხი იბრძოდა ამ თავისუფლების მოსაპოვებლად, ვინაიდან უბრძოლველად არავითარ უფლების მოპოვება არ შეიძლება.

ქაბუკი, სხვა უფრო კარგი გამოჩნდება: სევდიან სახეს გადაგიკოცნის, მღელვარე გულ-მკერდს დაგიამებს, ნაწყენ თვალებს ამოგწურნის... ისევ ბედნიერი, ისევ კმაყოფილი იქნები ცხოვრებისა! შენი აწეწილი ტანჯვა, შენს გულის სიღრმეში გაითხრის სამარეს, იქ დაიმარხება და ისე გეჩვენება, თითქოს, ოდესღაც და სადღაც, სასიამოვნო აკრძალული რომანის ფურცელი წაგეკითხოს... სიამოვნებითაც კი მოიგონებ შენს დღევანდელ გულის ტკივილს. ნუ, ნუ სტირი, ტურფავ!..

— არა, ჩემო ცელქო,—უპასუხა ქალმა —ცხოვრება—ოცნებაა და თუ ერთხელ მოგატყუა ცხოვრებამ, ისევე ჩაჭკნები, როგორც აი, ეს ტურფა ყვავილი.

ამ სიტყვით ქალმა სულ მოსწყვიტა წელში გადატეხილი ყვავილი და თვალებთან მიიტანა.

ყვავილი მომკვდარიყო. სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა. უფერულ, გულ-გრილ სინამდვილედ გადაქცეულიყო, ოცნება მტრედივით ხელიდან გაჰფრენოდა...

— მოითმინე, გეთაყვა,—მედიდურად გააწყვეტინა სიკომ—ეგ, რასაც შენა კითხულობ—ზღაპარია, თუ ფანტაზია?

კიკო აირია.

— მე არც ერთსა ვხედავ და არც მეორეს!—გაჯავრდა რიღასთვისაც ჩიკოც.—ფანტაზია ჩვენის კიკოსთვის, რომ ღმერთს არ მიუცია—ამას დამტკიცება აღარ უნდა, ხოლო ზღაპრები კი აგრე არ იწერება...

— ვირმა რა იცის, ხურმა რა ხილიაო—ბრაზმორევით გაიფიქრა კიკომ და, რომ თავისი მღელვარება დაეფარა, რვეული სახეზე აიფარა. ჩიკომა და სიკომ ისარგებლეს ამითი, ერთმანეთს ხანგრძლივ დააცქერდნენ, თვალებით კიკოსადმი დაცინვა გამოხატეს და აიფხორნენ: ცოტა გაწყდა, ხარხარი არ ასტეხეს.

— ჰო, იმას ვამბობდი, ზღაპრები აგრე არ იწერება-მეთქი—თავშეკავებით განაგრძო ჩიკომ—ზღაპარი მე მაქვს აბა, აი, დაწერილი! ისეთი რამ არის, უნდა მოგახსენოთ, რომ ჯერ ჩვენ ლიტერატურაში ამისთანა არა დაწერილა რა! დიდებული რამ იქნება, დიდებული!..—იმედიანათა და თავ-გამოდებით წამოიძახა ჩიკომ და იქ მყოფნი მედიდურად ჩამოათვალიერა.

— შენ რომ ხარ, ხარ! ტყვილათ კი არ გეძახიან ცარიელ გოგრას! შენ სულ სხვა ყაიდის კაცი ხარ!..—ორ-აზროვნად, და თავ-დაჭერით უთხრა სიკომ, მაგრამ ნათლად შეატყობდით რომ, სიკოს ჩიკოის ბაქიაობა ემწვავა, ეწყინა, შეშურდა კიდეც—იქნებ მართლა ასეთი რამ დაწერა, რომ გამაჯობოსო.

— მაშ კარგია, კარგი შენი მოთხრობა? ღიმილით დაეკითხა სიკო ჩიკოს.

— აკი ვამბობ: თვალი, შედევრი იქნება ჩვენის მწერლობისა.

— ღმერთმა ჰქნას!.. ძლივ-ძლიობით ამოიკვნესა კიკომ, გაჯავრებით რვეული დაჭმუჭნა, უბეში ჩაიდვა და ზეზე წამოვარდა. სიკოც წამოდგა და ბოლთის ცემა დაიწყო. ჩიკომ კიკოს სიტყვა და მოქმედება თავის შეურაცყოფად ჩასთვალა, თავი ვეღარ შეიკავა და დიდი ხნის გულით ნატარები ბოღმა და შური გახეთქა.

—

აუარებელი გამვლელ-გამომვლელი შემოხვეოდა სამის ამხანაგის ფანჯრებს.

სიკო, ჩიკო და კიკო დარეოდლიყვნენ და ერთი-ერთმანეთს უწმაწურად, უდიერად ლანძღავდნენ. ნიჭიც, აზრიც, გულიც, ყოფა-ქცევაც, სახლი და კარიც, სულ ერთმანეთში აურიეს, ერთი მეორეს შეუგინეს, გაულანძღეს.

კიკომ ენამჭევრობით ორთავეს გადააჭარბა. ამხანაგებმა ვეღარ მოითმინეს და მასზე საცემრად იწიეს...

გარეშე ხალხმა გააშველა იგინი.

ამბობენ, ამ დღიდან არც ერთი მათგანი გაზეთს აღარ კითხულობსო.

ეშინიანთ, თურმე, ერთმანეთის ნაწერი არ შეხვდეთ და კვლავ გული არ აიმღვრიონ...

კიკოს „გმირი ქალი" კი დღემდე რედაქციის კალათაში ქეითინებს...

ია ეკალაძე.

დამფუძნებელი კრება

პასსიური საარჩევნო უფლება.

დეპუტატის თავისუფლად ასარჩევად დამფუძნებელ კრებაში მარტო არჩევნების უფლება არ კმარა (აქტიური საარჩევნო უფლება); საჭიროა არჩეულ დეპუტატს დეპუტატად ყოფნის უფლებაც ჰქონდეს (პასსიური საარჩევნო უფლება). მთავრობა ცდილობს ხალხს ყოველნაირად შეუშალოს ხელი და ამიტომ პასსიურ საარჩევნო უფლებას ზღუდავს და ისეთ კანონებს იგონებს, რომლის ძალით ყველა ამომრჩეველს არ შეუძლიან თვითონაც არჩეულ იქმნას. კანდიდატ დეპუტატს ყოველნაირ ხრიკით აფერხებენ, ბოჭავენ და მისგან ხან ქონებრივ ცენზს თხოულობენ, ხან წლოვანებას, განათლებას და სხ.

სასაცილო ის არის, რომ ყველა ამას სხვადასხვა ნაირ უცნაურ „პრაქტიკულ" მოსაზრებით იგონებენ: ვალის ამორჩეული ახალგაზრდა არ უნდა იყოს, გამოცდილება უნდა ჰქონდეს, არავისგან არ უნდა იყოს დამოკიდებული და სხ. და სხ. ყველა ასეთი ხრიკი და კანონი, რომლითაც პასსიურ საარჩევნო უფლების შეზღუდვა უნდათ, სინამდვილის დამახინჯება და სიცრუეა. ხალხი ბავშვი არ არის და ისეთ კანონმდებელს არ აირჩევს, რომელსაც არც ცოდნა აქვს, არც ნიჭი და არც ჭკუა. უვარგისობა იმ კანონებისა, რომელთაც ეს კანონმდებლები დასწერენ, ხომ ისევ ხალხს დააწვება კისერზე; მაშ ცხადია, რომ ხალხი მეტიჩარა აპეკის დაუხმარებლადაც ფრთხილად მოექცევა არჩევნებს და ისეთ დეპუტატებს არ აირჩევს, რომელნიც იმის საზარალოდ იმუშავებენ. ეს შეეხება დეპუტატთა ახალგაზრდობასა და განათლებას. ხოლო, რაც შეეხება ქონებრივ ცენზს დეპუტატისას—ამაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება! როცა ხალხი დამფუძნებელ კრებაში დეპუტატებს გზავნის, მათგან ფულს კი არ მოელის, არამედ თავსა და ჭკუას. ამიტომ საჭიროა ხალხმა მოითხოვოს, რომ პასსიური საარჩევნო უფლებაც საყოველთაო იყოს: ყველას—მამაკაცსა და დედაკაცსაც, ღარიბსაცა და მდიდარსაც, ქართველსაცა და ებრაელსაც—ყველას უფლება უნდა ჰქონდეს მოქალაქეთა-მიერ დეპუტატად არჩევისა,—აი, მხოლოდ მაშინ იქნება არჩევანი თავისუფალი.

უექველია, იტყვის ვინმე: კარგი, ვთქვათ, დეპუტატად ამომირჩიეს მე, ღარიბი, შეუძლებელი ვარ და ცოლშვილიცა მყავს.

როგორ გავანებო ოჯახს თავი, როგორ წავიდე ათას ვერსზე და რით ვიცხოვრო იქ რამდენიმე თვის განმავლობაში, ან ცოლშვილმა როგორ-ღა უნდა იცხოვროსო? ესეც მართალია: თუ კაცი მარტო თავის მარჯვენით და დღიურ ქირით ცხოვრობს, ათას ვერსზე ვერ წავა, ან თუ წავა—სიმშილით მოკვდება.

ამრიგად, პასსიური საარჩევნო უფლება საყოველთაოც რომ იყოს, თუ კი დეპუტატს ჯამაგირი არ ეძლევა—დეპუტატებად ხალხმა ისევ შეძლებულნი უნდა აირჩიოს; ღარიბები კი დამფუძნებელ კრებაზე წასვლას ვერ მოახერხებენ. ესეც ხალხის უფლებისა, საყოველთაო არჩევნების შეზღუდვა იქნება. ამიტომ ხალხმა მტკიცედ და დაჟინებით უნდა მოითხოვოს, რომ მის-მიერ არჩეულ დეპუტატებს ჯამაგირი ეძლეოდეს. მთავრობა და მდიდრები-კი ყოველნაირად ცდილობენ, რომ დეპუტატებს ჯამაგირი არ ეძლეოდეს. ამას იმიტომ შვრებიან, რომ უჯამაგიროდ ღარიბი დეპუტატი დამფუძნებელ კრებაზე არ წავა, და თუ წავიდა—მდიდრებიცა და მთავრობაც ამით ისარგებლებენ: ან იჯარას მისცემენ, ან რამე სამსახურს, ან კიდევ მოისყიდიან, დაქრთამავენ და თავისკენ გადიბირებენ.

ზოგიერთნი ამ შემთხვევაში პირმოთნეობენ და ორპირობენ: როგორ?—კეთილშობილურ პაფოსით ყვირიან ისინი.—განა დეპუტატი საერთო საქმეს არ ემსახურება? განა ამისთვის იმან სასყიდელი უნდა აიღოს? განა დეპუტატი მოვალე არ არის ხალხის ნაოფლარი გროშები ისევ ხალხს მოახმაროს? ამის მთქმელებს—მდიდარ მექარხნეებსა, მემამულეებსა და მოხელეებს—იმათივე სიტყვით უნდა გასცეთ პასუხი და უთხრათ: თუ მართლა ხალხისთვის გული გტკივათ და იმის გროშებს მაგრე უფრთხილდებით, მოხელემ უარი თქვას თავის ათი-ათას მანეთიან ჯამაგირზე, მექარხნემ თავი დაანებოს მუშების ძარცვა-გლეჯას, მემამულემ ხელი აიღოს გლეხების გაყვლეფაზე. ეს ვაჟბატონები ხმას არ იღებენ, როცა თვითონ ხალხს ტყავს აძრობენ და ხალხის ოფლით ნაშოენ გროშებით აუარებელ მუქთახორა მღვდლებსა, პოლიციასა და მოხელეებს ინახავენ; და თუ ხალხმა თავის საჭიროებაზე ორიოდე გროში დახარჯა, ეს ვაჟბატონები ყვირილს მორთავენ ხოლმე „მშრომელ ხალხის" ინტერესებზე.

თუ ხალხს უნდა, რომ ქვეიანი დეპუტატები აირჩიოს და არა მდიდრები, თუ ხალხს უნდა, რომ მათმა დეპუტატებმა დამფუძნებელ კრებაზე ხალხის ინტერესები დაიცვან და მთელი თავის ძალ-ღონე ამ საქმეს შესწირონ, თუ ხალხს უნდა, რომ ეს დეპუტატები დამოუკიდებელნი იყვნენ და მდიდრებს არ შესცქეროდნენ ხელში—უექველად უნდა მოითხოვონ, რომ დეპუტატებს საკმაო ჯამაგირი ეძლეოდეს.

მაგალითისთვის შორს წასვლა არ არის საჭირო. გერმანიაში დეპუტატებს ჯამაგირი არ ეძლევათ. მშრომელმა ხალხმა დაჟინებით მოსთხოვა იმპერატორს ჯამაგირის დანიშვნა, მაგ, რამ იმპერატორმა მიუგო, დეპუტატებს ჯამაგირს მხოლოდ იმ შემთხვევაში დავუნიშნავ, თუ ხალხი საყოველთაო საარჩევნო უფლებას შეზღუდავსო. ამით ცხადად მტკიცდება, რომ ჯამაგირს დიდი მნიშვნელობა აქვს. რადგან გერმანიის პარლამენტმა ამაზე მტკიცე უარი შეუთვალა იმპერატორს, ამიტომ გერმანიის დეპუტატებს დღესაც არ ეძლევა ჯამაგირი. მაგრამ არც მუშებმა მოიხარეს ქედი: პარლამენტში 81 დეპუტატი გაგზავნეს და წელიწადში. თავიანთ ჯიბიდან 20 ათასი მანათი დაუნიშნეს.

არც ჯამაგირის დანიშვნა კმარა. საჭირო საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ მდიდრებმა საყვედური არ უთხრან ღარიბ დეპუტატებს, აი, ჩვენ უსასყიდლოდ, ხალხის სასარგებლოდ ვშრომობთ, თქვენ კი ამ შრომაში ფულს იღებთო. ამისთვის საჭიროა, რომ, ჯერ ერთი, ყველა დეპუტატს თანასწორი ჯამაგირი ეძლეოდეს და, მეორე, ჯამაგირზე უარის თქმის ნება არავის არ უნდა ჰქონდეს.

არც ეს კმარა. საჭიროა დეპუტატი შრომის დროს მხოლოდ თავის სინდისსა და გულის თქმას მიჰყვეს, საჭიროა დეპუტატი სრულიად თავისუფალი იყოს. ამისთვის ხალხმა მტკიცედ უნდა მოითხოვოს, რომ დეპუტატის პიროვნება ხელშეუხებელი იყოს. დამფუძნებელ კრების ნებადაურთველად არავის არ უნდა შეეძლოს დეპუტატის დაპატიმრება. დეპუტატმა კრებაზე თავისუფლად უნდა ილაპარაკოს და მისი შეჩერება და პასუხისგებაში მიცემა არავის შეუძლიან. დეპუტატს სიტყვის სრული თავისუფლება უნდა მიეცეს.

რადგან დეპუტატები ხალხის მსახურნი არიან, ამიტომ ხალხმა უნდა იცოდეს, რას აკეთებენ პარლამენტში ეს დეპუტატები. დამფუძნებელ კრების სხდომები დიდ დარბაზში უნდა მოხდეს, კრებებზე დასწრების უფლება ყველას უნდა მიეცეს. მაგრამ ყველას სად შეუძლიან კრებაზე წასვლა: ან არ სცალიან, ან დაღლილია, ან ადგილი არ არის. ყველას კი გულით უნდა გაიგოს, რაც ამ კრებაზე ხდება და რასაც დეპუტატები ლაპარაკობენ. ყველა ეს—დეპუტატების ნალაპარაკევი—ან კრებების ანგარიშები შეუცვლელად და სავსებით უნდა იბეჭდებოდეს გაზეთებში, ცალკე ფურცლებზე და ეს ფურცლები უფულოდ უნდა დაურიგდეს ხალხს. აუცილებლად საჭიროა კრებებზე დასწრების ნება მიეცეს ყველა გაზეთის თანამშრომელს, თორემ მთავრობა ისეთ ანგარიშს შეადგენს, რომ თავსა და ბოლოს ვეღარ გაუგებს. კრებების ანგარიშებს არავითარი ცენზურა არ უნდა აბრკოლებდეს: თავისუფლად უნდა დაიბეჭდოს და ხალხს დაურიგდეს.

დამფუძნებელ კრებას დიადი მნიშვნელობა აქვს ხალხისთვის და ამიტომ ხალხი მტკიცედ უნდა ითხოვდეს იმას, რომ ამ კრებების დროს მისი უფლება არაფერში შელახული არ იყოს.

საზოგადოებაში ინტერესების სხვადასხვაობა არსებობს და ამიტომ ყოველთვის მოსალოდნელია, რომ საზოგადოების ერთი ჯგუფი ეცდება დანარჩენებზე გაბატონებას.

ყოველივე უსამართლობის თავიდან ასაცილებლად საჭიროა, ერთის მხრივ, დამფუძნებელი კრება მოწვეული იქნეს სამართლიანის წესით და, მეორეს მხრივ კი, საჭიროა, რომ თვით ხალხი, ხალხის უმეტესობა ფხიზლად ეკიდებოდეს თავის საქმეს და თავის სხვადასხვა უფლების შელახვას არ აცლიდეს არავის.

Д.

მეთვრამეტე საუკუნეში, როდესაც ფილოსოფია ირკვევდა ადამიანის ბუნებრივ უფლებებს, ხალხმა მოითხოვა გადაჭრით სიტყვის, აზრის, პრესსის თავისუფლება, მოითხოვა კრებების და შეკავშირების თავისუფლება და მასთან ერთად ითხოვა აგრეთვე პიროვნების თავისუფლებაც, ურომლისოდაც ცხოვრების რიგიანად მოწყობა მას არ მიაჩნდა შესაძლოდ.

1789 წელს, ე. ი. დიდ რევოლუციის დროს, როდესაც ხალხმა ძირს დასცა სამეფო ტახტი, ძველი წყობილება სრულებით მოსპო, სახელმწიფო უფლება ჩაიგდო ხელში და ახალ, უფრო სამართლიან წეს-წყობილების დამყარება დაიწყო, —იქაურმა საერო კრებამ, სანამ თვით კონსტიტუციის შედგენას შეუდგებოდა, შეადგინა და გამოსცა, ეგრედ წოდებული, „ადამიანის და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია".

ამნაირივე დეკლარაცია, ძირითად უფლებების ჩამოთვლა, საფრანგეთს გარდა, სხვა სახელმწიფოებშიაც გამოუციათ და ამ უფლებებზე აუშენებიათ სახელმწიფო წყობილების ახალი შენობა.

მხოლოდ ინგლისის კონსტიტუციაში ასეთი ჩამოთვლა არ არის, —იქ არ არის ცალკე თავმოყრილი ყველა ის ძირითადი უფლება, რომელიც აქვს ყოველ ინგლისელს, როგორც ამ სახელმწიფოს წევრს და მოქალაქესაც. ამის მიუხედავად, იქაც ისეთივე თავისუფლება აქვს მინიჭებული ხალხს, როგორც ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოში... იმაზე მეტიც... ევროპაში ბევრგან მოქალაქის ძირითადი უფლება ერთ ხანს მხოლოდ ქაღალდზე ჩამოწერილი რჩებოდა, ინგლისში კი ყოველი უფლება მტკიცედ არის დაცული და ადმინისტრაცია ან მთავრობა ვერ ბედავენ ძალმომრეობას.

როგორ მოხდა, რომ ინგლისში მოქალაქეს სრული უფლებები აქვს მინიჭებული და ეს უფლებები კი არ არის ცალკე ჩამოთვლილი კონსტიტუციაში ისე, როგორც სხვაგან ევროპასა და ამერიკაში, რატომ არის, რომ ამის მიუხედავად იქ მაინც, სხვებთან შედარებით, მოქალაქის სრული თავისუფლება არსებობს?

ამის მიზეზი ის არის, რომ ინგლისში ხალხი რამდენისამე საუკუნის განმავლობაში ებრძოდა მეფეებს თავისუფლების მოსაპოვებლად. იმ ბრძოლის დროს ხალხი თანდათან იძენდა მოქალაქის უფლებებს, ხალხის ყოველ გამარჯვებას რაიმე ახალ უფლების მოპოვება მოჰყვებოდა უთუოდ და შემდეგშიაც ხალხი ცდილობდა ყოველთვის, არ დაეკარგა ბრძოლით მოპოვებული უფლება. ერთბაშად, ერთის შეტევით მოპოვებული თავისუფლება ევროპის სახელმწიფოებში უფრო სუსტი გამოდგა, ვიდრე საუკუნოების ბრძოლით შემოღებული.

ინგლისში ამ ბრძოლას მოჰყვა მეფის უფლების თითქმის სრული გაუქმება და მოსპობა. მეფე იქ მხოლოდ სახელით მეფობს, მთელ სახელმწიფო მართვა-გამგეობის უფლება კი თითონ ხალხსა აქვს მინიჭებული, და სწორედ ამიტომ იქ ადმინისტრაციაც ალაგმულია და ადამიანის პიროვნებაც ადმინისტრაციის თვითნებობისაგან დაცული.

საფრანგეთში ხალხის განვითარება სულ სხვა გზას ადგა. საშუალო საუკუნოებში მეფეს იქ შედარებით მცირეოდენი უფლება ჰქონდა მინიჭებული და მხოლოდ შემდეგ, თანდათან მეფეებმა მეტი უფლება ჩაიგდეს ხელში და ბოლოს გამოაცხადეს კიდეც: «სახელმწიფო მე თვითონ ვარო». მეფეების თვითმპყრობელობას მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეში აღარ ჰქონდა საზღვარი და, როგორც ნამდვილი თვითმპყრობელნი, იქაური მეფეები არაფრად აგდებდნენ მოქალაქის უფლებას, ფეხ-ქვეშ სთელავდნენ ყველას, ვინც მოითხოვდა თანასწორობას, თავისუფლებას. თვითმპყრობელ მეფის სურვილებს მორჩილად ასრულებდა უენო ბიუროკრატია, რომელიც მძიმე უღლად აწვებოდა კისერზე ხალხის უმეტესობას.

ხალხიც, ამ მონობაში აღზრდილი, გადაეჩვია საზოგადო ცხოვრებას, საპოლიტიკო ალღო დაჰკარგა და ადმინისტრატიულ ცენტრალიზაციასაც შეეჩვია თანდათან.

ამიტომ არის, რომ საფრანგეთის ხალხმა მოახერხა რევოლუციის მოხდენა, შესცვალა მთელის ევროპის წესწყობილება, მაგრამ ამასთან ერთად ვერ მოახერხა იმის შერჩენა, რის მოსაპოვებლადაც ამდენი სისხლის ღვრა დასჭირდა, —ვერ შეირჩინა თავისუფლება.

ადვილად მოპოვებული თავისუფლება ადვილადვე ისპობა ხოლმე.

თავისუფლება მხოლოდ იქ იკიდებს ფეხს და რჩება უცვლელად, სადაც მის მოსაპოვებლად ხალხს ხანგრძლივი და მედგარი ბრძოლა დასჭირდა, სადაც ამ ბრძოლის დროს ხალხი შეეჩვია თავისუფლების დაფასებას და მის დაცვასაც.

ასე იყო ინგლისში...

—*

მაჰმადიანებისა და ქართველების კრება

გუშინწინ მაჰმადიანებს და ქართველებს შეერთებული კრება ჰქონდათ სათავად-აზნაურო ბანკში. თავმჯდომარედ აირჩიეს ი. ჭავჭავაძე, ამხანაგებად: მამედ-ბეგ აბაშიძე, გაზ. „კასპის" რედაქტორი ბ-ნი თოფჩიბაშევი და ვ. რ. ყიფიანი. კრებას უნდა განეხილა მაჰმადიანებისა და ქართველების პეტიციები და შემუშავებინა საერთო შეთანხმებულ მოქმედების გეგმა. პეტიციების განხილვის დროს გამოირკვა, რომ ქართველებისა და მაჰმადიანების უფლებრივი შეხედულება თვალსაჩინოდ განსხვავდება ერთი მეორისაგან. მაგალითად, მაჰმადიანები თხოულობენ ცენზზე დამყარებულ საარჩევნო უფლებას, ქართველები კი უარჰყოფენ ცენზს. მაჰმადიანები ცდილობენ წოდებრივ უფლებისა და უპირატესობის მოპოებას, ქართველები კი წოდებას უარჰყოფენ და წოდებრივ პრივილეგიების მოსპობას თხოულობენ.

ბ-ნმა თოფჩიბაშევმა განმარტა ის მიზეზები და პრაქტიკული მოსაზრებანი, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ მაჰმადიანები, როცა პეტიციას ადგენდნენ: პეტიციის შინაარსი ჩვენი ხალხის ყოფა-ცხოვრებასთან არის შეთანხმებულო. ექ. გედევანიშვილმა, ს. დღონტმა, ი. ზურაბიშვილმა და ზოგიერთ სხვებმაც ის აზრი გამოსთქვეს, რომ პეტიციები პრინციპიალურად ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაგრამ განსხვავება ხელს არ შეუშლის შეერთებასა და სოლიდარობას, თუ მაჰმადიანებიც ტერიტორიულ-ეროვნულ ავტონომიის ნიადაგზე დადგებიან და ჩვენსავით ავტონომიას მოითხოვენო.

ხანგრძლივ ლაპარაკიდან გამოირკვა, რომ შეთანხმება შეიძლება მხოლოდ შემდეგ პლატფორმაზე: ამიერ-კავკასიის ყოველ ეროვნებას უნდა მიეცეს თვითგამორკვევის სრული თავისუფლება. ქართველები მოვალენი იქნებიან მოითხოვონ, რომ ეს უფლება მაჰმადიანებსაც მიეცეს, მაჰმადიანები კიდევ ასეთსავე უფლებას მოითხოვენ ქართველებისათვის. ხოლო თავის შინაურ საქმეების მოწყობაში თითოეული ერი თავისუფალი უნდა იყოს.

ლაპარაკი ჩამოვარდა მაჰმადიანებს და სომხებს შორის გამწვავებულ დამოკიდებულებაზე. ქართველებმა სთქვეს, ჩვენს მოვალეობად ვთვლით სისხლის ღვრა მოვსპოთ, შუღლის მიზეზები გამოვარკვიოთ და, რამდენადაც შეიძლება, ეს ორი ეროვნება ერთმანეთში მოვარიგოთო. მაჰმადიანებმა განაცხადეს, ამის ინიციატივას ჩვენ ვერ ვიკისრებთ, ხოლო თუ თქვენ თქვენის სურვილით დაიწყებთ ამ საქმეს, —ჩვენ წინააღმდეგი არა ვართო. სომხებთან ერთად შეკრება ჯერ-ჯერობით მოუხერხებლად მიგვაჩნიაო. ამის შესახებ ქართველებმა გადასწყვიტეს, სომხებს მოელაპარაკონ და შედეგი მოლაპარაკებისა მაჰმადიანებს შეატყობინონ.

მოკლე, მაგრამ ძლიერი და გრძნობით სავსე სიტყვა წარმოსთქვა ქართველ მაჰმადიანთა წარმომადგენელმა, მამედ-ბეგ-აბაშიძემ. „პათომმაც სცადეს ორი სარწმუნოების ერის—ქართველ მაჰმადიანებისა და ქართველ ქრისტიანების გადაკიდება, —სთქვა ბ-ნმა აბაშიძემ, —მაგრამ ამაოდ. —ჩვენ თუმცა სარწმუნოებით მაჰმადიანები ვართ და, მაშასადამე, ამ მხრით სხვა მაჰმადიანებთან კავშირი გვაქვს, მაგრამ ეროვნებით ქართველები ვართ, ქართული სისხლი გვიდუღს, სულითა და გულით ქართველები ვართ და ამიტომ ჩვენში ვერას დროს ვერ მოიკიდებს ფეხს იმგვარი ქადაგება, რომელსაც მიზნად ექნება, ჩვენ ჩვენს ძმებს, —ქრისტიან ქართველებს, —გადაგვკიდოს და ჩვენსა და მათ შორის მტრობა ჩაასახოს. ჩვენ გვეშინოდა უმთავრესად სარწმუნოებრივ შუღლისა და ამიტომ მთელი ჩვენი ძალღონე მოვიკრიბეთ, რამდენჯერმე ხალხი შევკრიბეთ, მოველაპარაკეთ, თვალი ავუხილეთ და, ჩვენდა საბედნიეროდ, ხიფათი თავიდან ავიცილეთ. ჩვენ ქართველები ვართ და ამით ვამაყობთ. მაგრამ განა საჭიროა ეროვნულ გრძნობაზე ლაპარაკი? ჩემის აზრით, ამაზე ლაპარაკი ისევე მეტია, როგორც მეტია იმისი თქმა, რომ მზე ანათებს. ვიმეორებ, ჩვენ დაკავშირებული ვართ თათრებთან სარწმუნოებით და ქართველებთან —ეროვნებით. ჩვენ არას დროს არ დაგვავიწყდება დღევანდელი დღე, დღევანდელმა დღემ ჩვენი, ქართველ მაჰმადიანების, კავშირი თათრებთან და ქართველებთან განამტკიცა, შეურყეველი გახადა. ბედნიერი ვარ, გხედავ რა, რომ ისეთივე ერთობა და მჭიდრო კავშირი აქვთ ჩემს თანამოძმე ქართველებს სხვა მაჰმადიანებთანაც. დღევანდელი კრება და აქ წარმოთქმული სიტყვები ამისი უტყუარი საბუთია"...

ბ-ნ აბაშიძის სიტყვას საზოგადოება ვაშას ძახილითა და ხანგრძლივ ტაშის გრიით მიეგება.

სხვა მაჰმადიანებმაც მადლობა გადაუხადეს ქართველებს ამ კრების გამართვისა და თანაგრძნობის გამოცხადებისათვის.

დასასრულ, კრებამ შემდეგი რეზოლუცია მიიღო: „ამიერ-კავკასიის ქართველები და მუსულმანები, რომლებიც შეიკრიბნენ თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრების-მიერ წამოყენებულ კითხვების გამოსარკვევად, იმ გადაწყვეტილებას დაადგნენ, რომ კავკასიის კულტურული წინსვლა და საზოგადოებრივ წესწყობილების შეცვლა, განახლებულ ცხოვრების მოთხოვნილებათა თანახმად, შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა ეროვნებათა შორის სრული სოლიდარობა იქნება დამყარებული. ამიტომ, ჩვენი საერთო სამშობლოს ყველა ნაწილების მჭიდრო შეკავშირება აუცილებელ საჭიროებას შეადგენს კულტურულ შემოქმედებითის მუშაობისათვის. პირველ ნაბიჯად, ორივე ეროვნებათა, —მუსულმანებისა და ქართველების—დასაახლოვებლად, კრების აზრით, შეიძლება ჩაითვალოს განსაკუთრებულ წარმომადგენლობისაგან შემდგარი ორგანო, რომელიც უნდა დაარსდეს ტფილისში. ამ ორგანოს მიზანი უნდა იყოს, ხელი შეუწყოს ორსავე ერს შორის კარგ დამოკიდებულების განვითარებას და გაუზიაროს მაჰმადიანებსა და ქართველებს თავისი აზრები მიმდინარე საქმეების შესახებ. რაც შეეხება ერევანში მომხდარ მეტად სამწუხარო ამბავს, რომელიც შეუძლებლად ჰხდის ნაყოფიერს მუშაობას და რომელიც დიდად აფერხებს ქვეყნის მატერიალურ და სულიერ ძალთა განვითარებას, ჩვენ ძალიან ვწუხვართ ამ ამბის გამო და ვიწვევთ ქვეყნის ყველა კეთილ-მოაზრე ელემენტებს, ხელი შეუწყონ ერთმანეთზე ამხედრებულ მეზობლების შერიგებას და დამშვიდებას. ჩვენ ვაღიარებთ, რომ მხოლოდ სამართლიან და მიუკერძოე საქმის განხილვას შეუძლიან დაამშვიდოს აღელვებული მოპირდაპირენი. ქართველები თავის ინიციატივით კისრულობენ შეეცადონ, ეს ორი გადამტერებული ერი ერთმანეთს შეარიგონ".

კრებამ ამოირჩია რამდენიმე მაჰმადიანი და ქართველი, რომელთაც ერთმანეთში განუწყვეტელი მიწერ-მოწერა და მოლაპარაკება ექნებათ საერთო საქმეზე.

კრება ღამის 1 საათზე დაიშალა.

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება.

კრების დაწყებისათანავე წაკითხულ იქმნა წინა კრების ოქმი. ოქმის შესახებ **თავ. ა. რ. ვახვახიშვილი** შენიშნავს, რომ არჩეულმა კომისიამ, სამეურნეო თანხის განაწილების დროს, უსათუოდ უნდა იხელმძღვანელოს იმ დებულებით, რომელიც თავად-აზნაურთა კრებამ 1903 წელს შეიმუშავა და დაამტკიცა. ამ დებულებაში ნათლად არის მოხსენებული, როგორ და ვის უნდა მიეცეს ამ თანხიდან ფული. ამაზე, **თავ. გ. ა. ბაგრატიონ-დავითიშვილი** უპასუხებს, რომ ეს საკითხი უკვე გარდაწყვეტილია და ამაზე ლაპარაკი მეტია, მაგრამ ყველა დარწმუნებული უნდა იყოს, რომ კომისია ყოველ საშუალებას მიმართავს, რომ ეს ფული სამართლიანად განაწილდეს და არც დაიკარგოს. **თავ. ა. რ. ვახვახიშვილი** აცხადებს, რომ საკითხი სწორედ ვერ იყო დაყენებული და გუშინდელი კენჭის ყრა უკანონო იყო, რადგან იგი ეწინააღმდეგებაო ამ დებულებას. **თავ ს. რ. ვახვახიშვილის** აზრით ოქმი დამტკიცებული უნდა იქმნას, მაგრამ იქ ბუნდოვანად სწერია „სესხად". კომისიამ ფულის დარიგების დროს უნდა მოითხოვოს გარანტია. ექ. გაბაშვილი ამტკიცებს, რომ გუშინ იყო ნათქვამი სიტყვა „გარანტია", მაგრამ, რადგან კამათი დიდხანს გაგრძელდა, გადაწყვეტილებაში დაგვავიწყდათ ამ სიტყვის ჩაწერაო. კრებამ დაადგინა—ოქმში შეტანის სიტყვა „გარანტია" და კომისიამ შეიმუშაოს ინსტრუქცია, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ ფულის დანაწილების დროს.

კრებას უკითხავენ დეპუტატთა საკრებულოს-მიერ შემუშავებულ ხარჯთ-აღრიცხვას. ბანკის მოგებიდან გადადებულია 114,442 მანათი და 70 კ. დადგენილია მიეცეს: სათავად-აზნაურო სკოლას 76,842 მან. 72 კ. სტიპენდიანტებს—26,000 მ., წინამძღვრიანთ-კარის სკოლას—5,000, გორის ანასტასიას სკოლას—1,000 მ., ტფილისისა და თელავის წმ. ნინოს სასწავლებლებს—2,000 მან. და მაზრების თავად-აზნაურთა წინამძღოლების კანცელარიებზე—3,600 მ. როგორც კრებაზე გამოირკვა, წლეულ სათავად-აზნაურო სკოლას სჭირდება 90,305 მ. 36 კ. შარშანდელზე 9,045 მანათით მეტი, რადგან სკოლის გამგე კომიტეტს უნდა პარალელი კლასები გახსნას, დააწესოს სადგომების ფული და სხვა. **ექ. გაბაშვილი** შენიშნავს, რომ, სანამ სკოლის გამგე კომიტეტი თავის ხარჯთ-აღრიცხვას დეპუტატთა საკრებულოს წარუდგენდეს, ჯერ კრებამ უნდა შეიმუშაოს და დაამტკიცოს იგი. ორატორის აზრით, დღევანდელ გაჭირებულ მდგომარეობიდან რომ გამოვიდეს კრება, საჭიროა გორის ანასტასიის სკოლას, თელავისა და ტფილისის წმ. ნინოს სკოლების და მაზრების კანცელარიების ფულს მოაკლდეს ნახევარ-ნახევარი, უნდა მოაკლდეს აგრეთვე სტიპენდიებზე გადადებულ ფულსაც, და რადგან ეს სასურველი არ არის, ამ მიზნისთვის უნდა გადიდოს ის 20,000 მანათი, რომელიც ხელმწიფესაგან აქვთ მოცემული წინამძღვრიანთ-კარის სკოლისთვის გადადებული ფული—5,000 მან. მიეწეროს სამეურნეო თანხას. მაშინ დარჩება იმდენი, რომ სათავად-აზნაურო სკოლის თხოვნასაც დააკმაყოფილებენ და შესაძლებელი იქმნება გააძლიერონ სტიპენდიებისთვის გადადებული ფულიც. **პ. ი. ყიფიანი** ეკითხება თავმჯდომარეს, ხომ არ არისო შემოტანილი თხოვნა დრამატიულ საზოგადოებისა. კითხულობენ ყველა თხოვნებს, რომელიც კი შეტანილა დეპუტატთა საკრებულოში. დრამატიულ საზოგადოების გარდა, დახმარებას თხოულობენ კიდევ: 1) ქართველ ქალთა საზოგადოება, რომელსაც აქვს მიზნად ტფილისში გამართოს საავადმყოფო შორეულ აღმოსავლეთში დაჭრილთა და ავადმყოფთათვის 2) სკოლის გამგე კომიტეტისა, რომელიც თხოულობს დახმარებას წელს სათავად აზნაურო სკოლაში სწავლა დამთავრებულთათვის, 3) თავჯდომარე წმ. ნინოს საქველ-მოქმედო საზოგადოებისა და სხვა. თავ. გ. ა. ბაგრატიონ-დავითიშვილი ეთანხმება ექ. გაბაშვილს, რომ გაუნახევრდეს ფული ზოგიერთ დაწესებულებას, გორის ანასტასიის სკოლის გარდა, რადგან ეს სკოლა წელს სრულ გიმნაზიად გადაკეთდა და ხარჯი მოემატა. **თავ. გ. ი. თარხნიშვილის** აზრით, ხელმწიფის მიერ მოცემულ ფულით თავად-აზნაურთა კრებამ გადასწყვიტა სამეურნეო სასწავლებლის გახსნა და, სანამ ეს დადგენილება ძალაშია, ამ ფულის ხელის ხლება არ შეიძლება. ექ გაბაშვილი, პ. ი. ყიფიანი და ი. რატიშვილი ამტკიცებენ, რომ სამეურნეო სკოლის გახსნა ამ ფულით შეუძლებელია, უნდა დღესვე მოილაპარაკოთ ამ საგანზე, რომ ეს ფული სტიპენდიებისთვის გადიდოს. **თავ. დ. ჩოლოყაშვილი** ამბობს, რომ ამ 20,000 მანათს თავად-აზნაურობას ხელში არ მისცემენ. თავად-აზნაურობამ მას უნდა მისცეს რაიმე დანიშნულება, ხარჯს კი ხაზინა გასწევს. ზოგს იმის ეჭვი აქვს, რომ ამ ფულს ხაზინა არ მისცემს თავად-აზნაურობას, მაგრამ იურიდიულად ამტკიცებენ, რომ მოუცემლობა არ შეიძლება.

დიდი ხნის კამათის შემდეგ, კრებამ ერთხმად გადასწყვიტა: 5,000 მანათი, რომელიც წინამძღვრიანთ-კარის სკოლას უკვე აქვს წაღებული, მიეწეროს სამეურნეო თანხას, სტიპენდიებზე გადადებულ 26,000 მანათს მოეკლოს 20,000 მან. და ამ ფულის მაგივრად მიეცეს ის 20,000 მან., რომელიც უმაღლესად არის ნაბოძები. ამგვარად საზოგადოებამ მოაკლო ამ ხარჯს 25,000 მან. და ამით შეავსო ის ხარჯი, რომელიც აუცილებლად უნდა დაეკმაყოფილებინა. ისე რომ სათავად-აზნაურო სკოლას მიეცა 90,305 მან., სტიპენდიანტებს 6,000 მ. (ამას მიუმატეთ უმაღლესად მოცემული 20,000 მან.) საქალებო სასწავლებლებს—3,000 მან. და მაზრების თავად-აზნაურთა წინამძღოლების კანცელარიებს—3,600 მ. ამასთან კრებამ დაადგინა: გასანაწილებელ ფულის 10 პროცენტი მიეცეს სესხად სათავად-აზნაურო სკოლის შენობისთვის. და რადგან სკოლის გამგე კომიტეტის-მიერ წარმოდგენილი ხარჯთ-აღრიცხვა 90,305 მან., შეიძლება თავად-აზნაურთა კრებამ 9,000 მანათით შემციროს, მაშინ ამ ფულიდან მიეცეს დრამატიულ საზოგადოებას 4,000 მანათამდე და დანარჩენი საშუალო სასწავლებლების ხელ-მოკლე მოსწავლეთა დასახმარებლად. ოქმის დამტკიცების შემდეგ **თავ. გრ. ნ. დიასამიძემ** კრებას წინადადება მისცა, შეუერთდნენ რუსეთის იმპერიის ქალაქებისა და ერობის წარმომადგენელთა დადგენილებას, რათა დაუყოვნებლივ მოწვეულ იქმნან თავისუფლად არჩეულნი ხალხის წარმომადგენელნი და ეს დადგენილება დეპეშით ვაცნობოთ პროფესორს თავ. ს. ნ. ტრუბეცკოის და მოსკოვის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს თავ. პ. ნ. ტრუბეცკოისა. კრებამ ეს წინადადება ერთხმად მიიღო და დაიშალა.

რუსეთი

რუსეთის მთავრობამ სპარსეთის ზოგიერთ ქალაქში ტელეგრაფის გამართვა განიზრახა. დაიქირავეს 13 კაცი, დაუნიშნეს თვეში 2087 მან. ჯამაგირად, მისცეს გზის ფული 8000 მანათი და გაისტუმრეს. 13 კაცი წელიწად-ნახევარს უსაქმოდ იჯდა სპარსეთში, წელიწად-ნახევარში ჯამაგირს იღებდნენ და... ტელეგრაფის აპარატებს უცდიდნენ. ბოლოს ცდაც **მოსწყინდათ და გამოიქცნენ.** ამ ამბავს „სინ. ოტ." უმატებს: როცა ყველა მოხელენი გაიქცევიან, აპარატები უეჭველად ჩავლენ; მერე ისევ მოხელეების ძებნას დაიწყებენ, მაგრამ, როცა მოხელეები მივლენ აპარატები დაიკარგებიან და სხ. (ს. ო.).

✦ ვარშავის მახლობლად დღისით **საეროზო დარაჯი მოჰკლეს.** იმავე დღეს, სასაფლაოზე იპოვეს საშინლად დასახიჩრებული გვამი პოლიციელისა მკვლელები ვერ აღმოაჩინეს.

✦ ლიტერატორთა, პროფესორთა, ინჟენერთა, ექიმთა, მასწავლებელთა, ჟურნალისტთა და სხვების კავშირებმა ხუთი მცოდნე და მეცნიერი კაცი აირჩიეს და დემოკრატიულ სახელმწიფოს პროექტის შედგენა მიანდეს (რ. ვ.)

✦ აველანის მაგივრად საზღვაო სამინისტროს მმართველად კონტრ-ადმირალს **რიმსკი-კორსაკოვს** ნიშნავენ (ნ. ჟ.).

✦ ხმა დადის, საერო განათლების სამინისტროს მიერ შედგენილ პროექტით, ამიერიდან პროფესორებს მთავრობა აღარ დანიშნავს. **პროფესორებს თვითონ უნივერსიტეტი აირჩევს**, დამტკიცებით კი ისევ სამინისტრო დაამტკიცებს. (რ. ს.).

✦ ამას წინად გარდაიცვალა რუსეთში ცნობილი მილიონერი მექარხნე საბა მოროზოვი. ახლა გამოირკვა, რომ **მოროზოვმა თავი მოიკლა.** მიზეზი—მუშების გაფიცვა იყო. მოროზოვი ლიბერალთა დასს ეკუთვნოდა და ძალიან სწყენია მუშების საქციელი (რ.).

✦ „ნაშა ჟიზნ"-ი სწერს: 1881 წელს რუსეთი ფლოტზე 30 მილიონს ხარჯავდა, წელს კი 120 მილიონიც არა ჰყოფნის. **დღემდის რუსეთმა ფლოტზე 2 მილიარდი მანათი დახარჯა.** რუსეთმა ფლოტი გაიჩინა, მაგრამ ხალხს სიბნელის გამო მეზღვაურები ვერ გამოადგნენ და ეს ფლოტი წყნარ ოკეანეში ჩაიძირა. ამისთანა ამბები მხოლოდ იმ სახელმწიფოს ემართება ხოლმე, სადაც უკანონობა, ძალმომრეობა და უსამართლობაა გამეფებული.

დამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის სააგენტოებისაგან)

11 ივნისი.

ტოკიო. ოფიციალურ მოხსენებით, იანჩანსა და მის მიდამოებში 8 ივნისს რუსის რაზმმა, რომელშიაც 1000 ქვეითი ჯარის კაცი იყო, წინ წაიწია და იაპონელების დარაჯები გარეკა, მაგრამ ხეინიანჩიანთან იაპონელებმა რუსები უკუაქციეს და ზიანიც მიაყენეს. ვეიძანპუძინთან იაპონელებს იამულინძზე ეჭირათ, ხოლო 6 ივნისს თავისი მინდობილობა შეასრულეს და უკან დაბრუნდნენ. რუსის ჯარმა, რომელშიაც სამი ბატალიონი იყო და ოთხი ესკადრონი 12 ზარბაზნით, წინ გაილაშქრა გირინის გზით სამხრეთისკენ. რუსების არტილერიამ ლუნგუანჩინის მაღლობები დაიჭირა და სროლა დაუწყო ნანჩენძის ჩრდილო მაღლობებს. იაპონიის რაზმმა იერიში მიიტანა მაღლობებზე, რუსები გარეკა, მაღლობები აიღო და რუსებს დაედევნა.

პეტერბურგი. ოფიციალური ცნობა შორეულ აღმოსავლეთიდან 10 ივნისს არ მოსულა.

ვაშინგტონი. სამშვიდობო მოლაპარაკების შეჩერებას ლამზდორფის ავადმყოფობას აბრალებენ. ამავე მიზეზით რუზველტს ჯერ პასუხი არ მოსვლია.

ტოკიო, 10 ივნისი. ოფიციალურ მოხსენებებიდან სჩანს, რომ პოსიეტისა და ვლადივოსტოკის ნავთსადგურებს შუა 30,000 რუსია. გუშინ მთავარსარდალთან დიდი თათბირი იყო.

მოჯი, 9 ივნისი. ის ცნობა, ვითომ რუსების რაზმი ჩრდილოეთ კორეაში, კიონ-სიონში დაბანაკებული, 2000 კაცისაგან შესდგებოდაო და მყისვე უკან დაიწია, როდესაც ბალტიის ესკადრის განადგურების ამბავი გაიგო, —უსაფუძლოა. კიონ-სიონთან დაბანაკებულია 12,000 კაცი, მომეტებულად კაზაკები. არის აგრეთვე ქვეითების პოლკი 16 ზარბაზნით. იაპონელმა მზვერავებმა ცნობა მოიტანეს, რუსები ჩრდილოეთიდან გვიპირობენ შემოტევასაო ამის გამო იაპონელთა რაზმმა 7 ივნისს დაიჭირა კიონსიონი. რუსების მოწინავე რაზმში, დაახლოვებით, 5,000 კაცამდე იქნებოდა. იაპონელთა რაზმებმა ვერ აღმოაჩინეს რუსები მუსანის მიდამოებში. იაპონელთ ძლიერ გაუჭირდათ. ადგილობრივნი მკვიდრნი რუსებს ეხმარებოდნენ და ჯაშუშობით დიდძალ ფულს შოულობდნენ; ზოგი მათგანი რუსულადაც ლაპარაკობს. როდესაც იაპონელებმა შეტევა დაუპირეს, რუსებმა საჩქაროდ უკან დაიწიეს. იაპონელებს უნდოდათ რუსები სამხრეთისაკენ გაეტყუებინათ, მაგრამ ვერ მოახერხეს. კაზაკებმა ყველა სახლი დაანგრიეს კიონ ჩუს მიდამოებში. მცხოვრებნი ცარიელდნენ.

პარიზი. მთავრობამ გაიგო, რომ გერმანიაში არა სიამოვნების საქმეთა მდგომარეობას გაუმჯობესებულად მას შემდეგ, რაც რუვიემ ნოტა გაუგზავნა გერმანიას. რუვიეს ურჩევენ, გერმანიას ნურაფერს დაუთმობო.

პარიზი. იუწყებიან, მთავრობა პალატას პროექტს წარუდგენს უფლებას სასამართლოს მიერ დასჯილთა და პრესსისა და გაფიცვების გამო გასამართლებულთა სრულის პატიების შესახებაო. აპატიებენ აგრეთვე ჯარში მომხდარ დაზიზღების გამო დასჯილების ამ რიგებსაც.

ვარშავა. ვარშავის მახლობლად საჯარისო ადგილებში მეჯურნი გაიფიცნენ. მოაგარაკენი უჯუროდ არიან.

ტფილისი, 10 ივნისი. რკინის გზის სახელოსნოების მუშათა დეპუტაციამ ნამესტნიკს მოახსენა: „ტერორისტთა პარტია გვემუქრება, თუ ჩვენ არ შემოგვიერთდებით, დაგხოცავთო. ჩვენარა გვსურს მათთან შეერთება, გთხოვთ დაგვიფაროთო". ნამესტნიკი დაჰპირდა საჭირო ღონისძიებათა მიღებას და მაჩვენა კაზაკთა რაზმები და პოლიციელები, რომ დაიფარონ ხსენებულ მუშათა ჯგუფი.

ლოძი. ყველა ფაბრიკაში საზოგადო გაფიცვაა. ვაჭრობა შესწყდა, სახელოსნოები დაკეტილია. ქუჩის ფარნები დამსხვრეულია; ტრამვაის მოძრაობაც შეჩერებულია.

ბერლინი, 10 ივნისი. მაროკოს კრიზისის დაწყებიდან, დღეს პირველად დაეცა სამხედრო სესხთა კურსები. ეს იმას მოასწავებდა, რომ ბარონ მამობენ, ვაი თუ საფრანგეთთან ომი მოუხდეს გერმანიას მაროკოს თაობაზე. მაინც დაჟინებით ოფიციოზები ჰფიქრობენ, ომი არ მოხდებაო. —ოფიციოზურად. რუვიეს ნოტის შესახებ, რომელიც დღეს საფრანგეთის ელჩმა გადასცა გერმანიის გარეშე საქმეთა მინისტრს, იუწყებიან, —პრინციპიალური უთანხმოება საფრანგეთსა და გერმანიას შორის ამ ნოტას არაფრით არ შეუცვლიაო.

სიმბირსკი. თავად ტრუბეცკოის მოსკოვში შემდეგი დეპეშა გაუგზავნა აქაურმა საბირჟო საზოგადოებამ: „სიმბირსკის საბირჟო საზოგადოების კრებამ ერთხმად დაადგინა, —გამოუცხადოს თქვენ გულ-წრფელი მადლობა თქვენ და თქვენს თანამშრომლებს იმ წმინდა სიმართლისათვის, რომელიც თქვენ ხელმწიფის წინაშე წარმოსთქვით".

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

განცხადებანი

ხუთი ახალი წიგნი

წიგნის მაღაზია „ცოდნა"-ს გამოცემა

სამშობლოსათვის თავდადებულნი.	40 კ.
რუსეთის დამყარება საქართველოში	20
ათი მოთხრობა ივ. მაჭავარიანისა	20
ხალხური ვეფხის ტყაოსანი	10
იაპონია. ნ. ნიკოლაძისა	20

დარბაზის კედლისთვის მოსართავი სურათები:
შოთა რუსთაველისა, დიდი 50 კ., აკაკისა 40 კ., ილია ჭავჭავაძისა 40 კ., რაფიელ ერისთავისა 40 კ., ნ. ბარათაშვილისა 50 კ., გიორგი წერეთლისა 30 კ., ეგნატე ნინოშვილისა 30 კ., ჯგუფი ქართველ მწერალთა 75 კ., ჯგუფი თამარ. ვეფხის ტყაოსნის შერთმევა 40 კ., საქართველოს დედება 1 მ. 20 კ., თამარ მეფის დიდი სურათი 1 მ. 50 კაპ. და პატარა 6 კაპ.

და სხვა ყოველგვარი წიგნები.

მოსამართი: ტფილისი, წიგნის მაღაზია „ცოდნა". **სოსიკო მერკვილაძე.** (20—5)

პირველად ქართულს ენაზე
✦ ყველასათვის საჭირო და სასარგებლო წიგნი ✦
უცხო სიტყვათა ლექსიკონი
რომელშიაც შეკრებილ-განმარტებულია ათი-ათასამდე უცხო სიტყვა ყველასათვის გასაგები ენითა და მაგალითებით, —რუსულისა და უცხო ენათა საუკეთესო ლექსიკონებისა, სამეცნიერო წიგნებისა და ჩვენის ჟურნალ-გაზეთებიდან გამოკრებილ-შედგენილი **იოსებ იმედაშვილის** მიერ. წიგნს დართული აქვს ლათინური, ფრანგული, ინგლისური და სხ. **„უცხო ანდაზები და წინადადებანი,** რომელიც არა ერთგზის იხმარება ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში. წიგნი შეიცავს 1130 სვ., დაბეჭდილია სუფთად, კარგ ქაღალდზე და ღირს მხოლოდ 1 მან., საუცხოვო (ოქროს-ვარაყიან ასოებით დაბეჭდ.) კალენკორის ყდით— მანათ-ნახევარი. გასაგზავნი ხარჯი 30 კ. წიგნი ფას-დადებით შეიძლება გაიწეროს. უმთავრესი საწყ. ტფილისში, ქვაშვეთის ქ., გამომცემლის წიგნთ-საცავში. ადრესი: Тифлисъ, книжная торг. І. З. Имедашвили. (5—6.—3)

დაიბეჭდა და ისყიდება ახალი წიგნი
ბრძოლა არსებობისათვის
დრამატიული პოემა 4 მოქ. და 7 სურათად
და სხვადასხვა **ლექსები და პოემები** დ. გაბრუაშვილისა. ისყიდება წერა-კით. გამ. საზოგ. და სხვა წიგნის მაღაზიებში. ფასი 60 კ. (30—6—3)

ВЪ ЦЕНТРАЛЬНОЙ КНИЖНОЙ ТОРГОВЛѢ въ Тифлисѣ, поступили въ продажу:

ЛОРІА. Рабочее движеніе. С.-П. ц. 1 р. 50 к. перес. 25 к.
МИЖУЕВЪ. Крестьянское царство. С.-П. ц. 75 к. перес. 15 к.
VERA. Одна за многихъ. Изъ дневника молодой дѣвушки. М. ц. 50 к. перес. 15 к.
АРЦЫБАШЕВЪ. Разсказы т. I. С.-П. ц. 1 р. перес. 25 к.
АРНОЛЬДЪ. Политико-экономическіе этюды. С.-П. 60 к. перес. 15 к.
БОРЦОВЪ. Удавы. С.-П. ц. 1 р. 50 к. перес. 25 к.
ЛАССАЛЬ. Капиталъ и трудъ. С.-П. ц. 1 р. перес. 20 к.
КАУТСКІЙ. Экономическое ученіе Карла Маркса. С.-П. ц. 75 к. перес. 15 к.
ЦВИДИНЕКЪ-ЗЮДЕНГОРСТЪ. Теорія и политика заработной платы. М. ц. 2 р. перес. 30 к.
МИНЬЕ. Исторія французской революціи. С.-П. ц. 1 р. перес. 25 к.
ОЛАРЪ. Политическая исторія французской революціи. М. ц. 3 р. перес. 70 к.
ЗОМБАРТЪ. Современный капитализмъ, т. I Генезисъ капитализма, т. II Теорія капиталистическаго развитія. С.-П. цѣна 4 р. 50 к. перес. 70 к.
ИСАЕВЪ. Начало политической экономіи. С.-П. ц. 3 р. 50 к. перес. 60 к.
КЛАДО. Современная морская война. Морскія замѣтки о Русско-Японской войнѣ. Съ 116 рисунками. С.-П. ц. 3 р. 50 к. перес. 60 к.
МЕРКУЛОВЪ. Путеводитель по горамъ Кавказа. С.-П. ц. 1 р. перес. 15 к.
ЧЕРНЫШЕВСКІЙ. Статьи по крестьянскому вопросу. (Современникъ 1857—1859 г.) С.-П. ц. 2 р. перес. 30 к.
ШУСТЕРЪ. Тайныя общества, союзы и ордена. С.-П. ц. 3 р. перес. 25 к.